"საქსტანდარტის" ყოფილ ხელმძღვანელებს პატიმრობა შეუფარდეს

A2

სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ქუთაისში გაიხსნება

A3

"საქნავთობმა" თანამშრომლები დააჯილდოვა

A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 2005 წელი. №181 (1041) ფასი 50 თეთრი

ამბები

რუსული ფინანსური ამნისტია ქართული კომენტარით

რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, რუსეთის მოქალაქეებმა 2005 წლის პირველ იანვრამდე მიღებული შემოსავლების დეკლარირება უნდა განახორციელონ და კუთვნილი თანხა, 13-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის გადახდასთან ერთად, რუსეთის კომერციულ ბანკებში შეიტანონ.

A2

ამბები

ნავთობმა საქართველოს საზღვრები გადმოლახა

ნავთობის პირველმა ნაკადმა აზერბაიჯანის საზღვარი გადმოლახა და შემოვიდა საქართველოში. ნავთობი მიიღეს საქაჩ სადგურ 1-ში, გარდაბნის მახლობლად, - აცნობეს გუშინ BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან "24 საათს".

A3

რევიუ

ქობულეთში "ეკოჰლაჟი" გაიხსნა

სუფთა გარემო, ზღვის სანაპიროზე კომფორტული საშხაპეები, გასახდელები, პლაჟის ბილიკები, შეზლონგები და ქოლგები... - ეს ის მწირი ჩამონათვალია, რაც აუცილებელია ზღვისპირეთში დასვენებისთვის.

A5

რევიუ

Summertime ოდა სიზარმაცეს

არა, ზაფხულის თბილისი ზაფხულის პარიზს ჯერ არ დამსგავსებია, მაგრამ პარიზელი ქალბატონი ლოლიტა ლემპიკა თავისას მაინც ეცდება - იისფერისა და მწვანის მიქსით, სვაროვსკის ციმციმა თვლებით, ზღაპრებში მეფის ასულებს რომ ფლაკონები ჰქონდათ, ისეთი ფლაკონით და ცხადია, სუნამოთი.

A7

ამინდი

	10/08	11 /08
თბილისი	38	36
ბათუმი	35	35
სოხუმი	35	35
დმანისი	30	30
გორი	32	32
ონი	27	28
ზუგდიდი	37	37
ახმეტა	37	34
გაბრა	33	35
სამტრედია	37	37

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8025
ევრო	2.2320
ბირვანქა სტერლ.	3.2059
რუბლი	0.0634

ამბები	A 2
ამბები	A 3
უცხოეთი	A 4
რევიუ	A 5
სპორტი	A 6
ტენდერი	A 7
სხვადასხვა	A 8

აფხაზეთში ოპოზიციის გაერთიანება ჭიანურდება

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

ოპოზიცია რეგიონებში ეროვნული ერთიანობის ფორუმის დამფუძნებელ კონფერენციებს ატარებს, რაც ოპოზიციის გამაერთიანებელი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობით უნდა დასრულდეს.

პირველი რეგიონული კონფერენცია ტყვარჩელში ჩატარდა. მას ოპოზიციის მთელი ისტებლიშმენტი ესწრებოდა - ფორუმის ხელმძღვანელი გენადი ალამია, ყოფილი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას თანაშემწე ასტამურ ტანია, განათლების ყოფილი მინისტრი ტალი ჯოფუა და სხვები. ოპოზიციის არჩევანი ტყვარჩელზე შემთხვევით არ შეჩერებულა. წინა არჩევნების დროს ამ რეგიონმა მხარი დაუჭირა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს, კერძოდ, აქაურ მკვიდრს რაულ ხაჯიმბას. ვინაიდან ამ ქალაქს ცენტრალურ ხელისუფლებაში დღეს გაცილებით ნაკლები წარმომადგენელი ჰყავს, ვიდრე წინა პრეზიდენტის დროს, ოპოზიცია აქ სერიოზული მხარდაჭერის მიღებას ვარაუდობს.

მთლიანობაში, ტყვარჩელის მოსახლეობა ინტერესით შეხვდა ოპოზიციის გამაერთიანებელი რეგიონული ორგანიზაციის შექმნას. ახლა დღის წესრიგში დგას ფორუმის რეგიონული განყოფილებების ჩამოყალიბება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა მხოლოდ ამის შემდეგ ჩატარდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

მთავარია წარსულის კონფრონტაციული მენტალიტეტის მოცილება

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ, მისი თანამდებობის მიუხედავად, შეძლო და აფხაზური მხარის ნდობა მოიპოვა. სერგეი შამბამ თბილისის შეხვედრის შემდეგ პირდაპირ განაცხადა: "მე ვიცნობ ალასანიას, მასთან შეხვედრამ ჟენევასა და ტროლში ჩემზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ალასანია ის პიროვნებაა, რომელთანაც შესაძლებელია მოლაპარაკებების წარმოება, მაგრამ იმის გამო, რომ ამავდროულად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს, მასთან მოლაპარაკებების წარმოებას არ ვაპირებთ". როგორც აღმოჩნდა, ეს იყო მხოლოდ საჯარო განცხადება, რომლის შემდეგ შამბა არაოფიციალურად შეხვდა ალასანიას. სექტემბრის დასაწყისში კი უსაფრთხოების საკითხებში ქართულ-აფხაზური შეხვედრა სოხუმში უნდა გაიმართოს, რომელსაც ირაკლი ალასანიაც დაესწრება. მანამდე გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხებზე საუბრობს.



ირაკლი ალასანია: "ყველას გასაგონად ვამბობ, რომ ქვეყნის გარედან თავსმოხვეული პირობებით ეს რკინიგზა არ გაიხსნება".

გაგრძელება A5 გვერდზე

კორუფცია გაერო-ში

რუსი თანამშრომელი - დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის პირველი მსხვერპლი

გაერო-ს გენერალური სამდივნოს შესყიდვების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა, რუსი ეროვნების დიპლომატმა ალექსანდრ იაკოვლევმა მისთვის წაყენებული ბრალდებების ყველა პუნქტში თავი დამნაშავედ ცნო. დიპლომატს ერაყისათვის გათვალისწინებული პროგრამის "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" ფარგლებში გამომძალველობა და ქრთამის აღება ედება ბრალად. რუსეთის საგარეო უწყება ოპერატიულად გამოეხმაურა აღნიშნულ ფაქტს და განაცხადა, რომ იაკოვლევი "არასოდეს ყოფილა რუსი დიპლომატი". რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თქმით, იგი მუდმივი ხელშეკრულებით მუშაობდა გაერო-ს აპარატში, თანაც ამ თანამდებობაზე არა საკუთარი ქვეყნის წარდგინებით, არამედ კონკურსის საფუძველზე მოხვდა. ხოლო რუსეთის საგარეო უწყების თანამშრომელი არასოდეს ყოფილა.



კოფი ანანმა საკუთარ თანამშრომლებს სამართალდამცველების პირველივე მოთხოვნისთანავე მოუხსნა იმუნიტეტი

გაგრძელება A4 გვერდზე

მეოთხე რევოლუციური ხელისუფლება იმერეთში

იმერეთის ახალი რწმუნებული ცენტრალური ხელისუფლებისგან გარანტიებს ითხოვს

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ მხოლოდ წელინადი და რვა თვე გავიდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ქვეყნის პრეზიდენტმა იმერეთში ორი რწმუნებულისა და ერთი მოვალეობის შემსრულებლის გამოცვლა მოასწრო. მორიგი თავკაცი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას 9 აგვისტოს პრემიერ-მინისტრმა წარუდგინა.

"ბატონი კაკო ბობოხიძე არის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული და ის ამ თანამდებობაზე პრეზიდენტმა შეარჩია. მას აქვს ორი განსაკუთრებული თვისება: უპირველეს ყოვლისა, უზარმაზარი პოლიტიკური გამოცდილება, რადგან ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა მოვლენა, კაკო რომ არ ყოფილიყო პირადად და აქტიურად ჩართული. მეორე თვისება, ეს არის მისი უდიდესი ენერგია, რომელიც ასე სჭირდება დღეს იმერეთის რეგიონს," - ასე ახასიათებს ზურაბ ნოღაიდელი პრეზიდენტის ახალ რწმუნებულს იმერეთში.

"ქუთაისში როცა მოვდიოდი, ბატონმა ზურაბ ნოღაიდელმა მითხრა, რაღაც გაფითრებული ხარო. მე ვუთხარი, იმერეთი და ქუთაისი ის ადგილია, სადაც შინით და სიფრთხილით უნდა მიხვიდე-მეთქი," - თქვა ბობოხიძემ წარდგენის შემდეგ.

იმერეთისა და ქუთაისისადმი შიშისა და სიფრთხილის გრძნობა, ბობოხიძის მსგავსად, თბილისში მოღვაწე არაერთ პოლიტიკურ ლიდერს აწუხებდა, რომლებიც პერიოდულად იმერეთის სავარაუდო გუბერნატორებად სახელდებოდნენ და ყველა ხერხით ცდილობდნენ ამ შეთავაზებისთვის თავის არიდებას. ასეთი სიფრთხილე სავსებით ლოგიკური გახდა მას შემდეგ, რაც იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულების მოღვაწეობის ვადა ყოველი მომდევნოსთვის სულ უფრო მოკლდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

მკვლელობის კვალი ავსტრიამდე მივიდა

ეჭვმიტანილების გადმოსაცემად გენერალურმა პროკურატურამ დოკუმენტაცია ავსტრიაში გაგზავნა
ყოფილი პარლამენტარის იური ჩიხრაძის ვაჟის, ვახტანგ ჩიხრაძის მკვლელობისთვის ძებნილების, "ინტერპოლის" მიერ წითელ ცირკულარში შეყვანილი - 22 წლის ნიკო ნიკოლაიშვილისა და 20 წლის გიორგი კალანდაძის ავსტრიიდან საქართველოში გადმოსაყვანად საჭირო დოკუმენტაცია გენერალურმა პროკურატურამ დაჩქარებული წესით მოამზადა და ავსტრიის სამართალდამცავ ორგანოებს გუშინ გაუგზავნა.

ნიკოლეიშვილი და კალანდაძე ავსტრიაში ორი კვირის წინათ დააკავეს. ავსტრიის მხარემ საქართველოსგან მათი ბრალეულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოითხოვა. მკვლელობაში ეჭვმიტანილების გადმოცემის საკითხს ავსტრიელი სამართალდამცველები საქართველოდან გაგზავნილი მტკიცებულებების შეფასების შემდეგ, 40 დღის ვადაში მიიღებენ.

18 წლის ვახტანგ ჩიხრაძე 2003 წლის 19 ივნისს ვაჟა-ფშაველაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. მძიმედ დაჭრილი ვახტანგ ჩიხრაძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მას ორი სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა - ზურგისა და ფეხის არეში. ორივე ჭრილობა სხვადასხვა სახის იარაღიდან გასროლით იყო მიყენებული. გამოძიების თავდაპირველი ვერსიით, თავდამსხმელი ორი იყო. მომხდარ მკვლელობას ერთადერთი თვითმხილველი მოწმე ჰყავდა, რომლიც მაშინვე დაიკითხა, თუმცა, სამართალდამცველები მის ვინაობას და ჩვენების დეტალებს დღემდე არ ახმაურებენ. სამართალდამცველებმა სწრაფად დაადგინეს თავდამსხმელთა ვინაობა. ნიკოლოზ ნიკოლაიშვილს და გიორგი კალანდაძეს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ განზრახ მკვლელობაში ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა და იმავე რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ სამი თვით წინასწარი პატიმრობაც შეეფარდათ.

დღემდე დაუდგენელია მკვლელობის მოტივი. თუმცა, გამოძიების სამუშაო ვერსიით, მკვლელობა შურისძიების საფუძველზე მოხდა. "24 საათთან" საუბრისას ვაკე-საბურთალოს რაიონის მაშინდელმა პროკურორმა თამაზ გეთიამ განაცხადა, რომ გამოძიება ერთდროულად რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მაგრამ მკვლელობის ნამდვილი მოტივი ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის.

"წინასწარ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. იმ ინფორმაციას, რაც ამჟამად გაგვაჩნია, ვერ გავცემთ. მკვლელობის გამოძიება რთული იქნება, თუმცა იმედი გვაქვს, ყველაფერი გაირკვევა," - იმედოვნებდა პროკურორი. მისივე განმარტებით, ჩიხრაძეს იარაღი არ ჰქონია.

გაგრძელება A2 გვერდზე

"მეცნიერების მართვის სისტემა შესაცვლელია"

"ფაქტი, როცა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე იმხილება სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში, სხვა მრავალ არგუმენტთან ერთად, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეცნიერების მართვა და ორგანიზაციული სისტემა შესაცვლელია," - განაცხადა გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ.

მისი თქმით, მეცნიერებათა აკადემიის დღევანდელი მართვის სისტემა ეფექტურმა სისტემამ უნდა შეცვალოს. "დღეს მეცნიერების მართვის სისტემის შეცვლის მოწინააღმდეგეთა მაღალფარდოვანი სიტყვიერების მიღმა ბანალური კორუფცია იმალება," - აღნიშნა ლომაიამ. მისი თქმით, სახელმწიფო პოლიტიკაა მეცნიერების ყოველწლიური დაფინანსების ზრდა, მაგრამ უნდა დაფინანსდეს ის მეცნიერება და ის მეცნიერული კვლევები, რომელიც სარგებელს მოიტანს სახელმწიფოსთვის და ხელს შეუწყობს, რომ საუკეთესო სამეცნიერო კადრი საქართველოდან არ გადიოდეს და მსოფლიოს ქართული მეცნიერების პროდუქტი მიეწოდებოდეს.

მინისტრმა სამი ძირითადი პრინციპი ჩამოაყალიბა, რომელიც საფუძვლად დაედება მეცნიერების მართვას ქვეყანაში: სახელმწიფო რესურსებზე სახელმწიფოს კონტროლი და კონკურენტუნარიან გარემოში განაწილება; მეცნიერებისა და განათლების ინტეგრირება;

სახელმწიფო პრიორიტეტების განხრით განვითარება.

24 საათი

მკვლელობის კვალი ავსტრიამდე მივიდა

პირველი გვერდიდან

ცოტა ხნის წინ ვახტანგ ჩიხრაძის მკვლელობის საქმე საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გამოსაძიებლად თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ემზარ ღარიბაშვილის განცხადებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილთა დაკავების შემდეგ, ექსტრადიციისთვის საჭირო მასალების მოსამზადებლად საქმე გენერალურმა პროკურატურამ გაითხოვა და უახლოეს დღეებში იგი კვლავ გამოძიებას დაუბრუნდება.

მას შემდეგ, რაც ავსტრიის სასამართლო ქართველი სამართალდამცველების მიერ გაგზავნილ მტკიცებულებებს გაეცნობა და დარწმუნდება მათ სიმყარეში, ნიკოლეიშვილი და კალანდაძე ქართველ სამართალდამცველებს გადმოეცემათ.

24 საათი

მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი დააკავეს

გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე გიორგი ბოჭორიშვილი დააკავეს. პროკურატურა მას თანამდებობის გადამეტებაში ადანაშაულებს.

გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის გიორგი ჯანაშიას განცხადებით, გიორგი ბოჭორიშვილს ბრალად ედება 2001 წელს მეცნიერებათა აკადემიასა და სამშენებლო კომპანია "ამხანაგობას" შორის ხელშეკრულების უკანონოდ გაფორმება, რომლის მიხედვითაც, "ამხანაგობას" სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე "აკადემქალაქის" კუთვნილი ორი ჰექტარი მიწა იჯარით გადაეცა.

გიორგი ჯანაშიას ინფორმაციით, საუბარია, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბერბუკისა და ტყვარჩელის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე. გიორგი ჯანაშიას განმარტებით, ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო გადასახადი 1 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობზე წელიწადში 0,24 თეთრით იყო განსაზღვრული. მაშინ, როდესაც მისი ფასი რეალურად 300 ლარს შეადგენდა. **"ამგვარი ხელშეკრულებით სახელმწიფოს მილიონობით ლარის ზარალი მიადგა"**, - განაცხადა გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ.

გიორგი ჯანაშიას თქმით, მეცნიერებათა აკადემიას ამგვარი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება არ ჰქონდა, რადგან ამის პრეროგატივა მხოლოდ ქონების მართვის სააგენტოს გააჩნდა.

ბოჭორიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 332-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამატებას გულისხმობს. სასჯელის დამტკიცების შემთხვევაში ბოჭორიშვილს 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

24 საათი

მორიგი საკადრო ცვლილებები შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში

გუშინ ცნობილი გახდა, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს გორის პოლიციის უფროსი დავით დათაშვილი. დავით დათაშვილის ადგილს, სავარაუდოდ, შინაგან საქმეთა გორის სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი მიხეილ კანდელაკი დაიკავებს. სამხარეო პოლიციიდან ასევე გათავისუფლებულია სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ზურაბ რაზმაძე. გავრცელებული ინფორმაციით, ზურაბ რაზმაძე ის პოლიციელია, რომელმაც გასულ ზაფხულს განვითარებული მოვლენების დროს მაშინდელი შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ოპერაციის დროს წინა ხაზზე მიატოვა. მაშინ ზურაბ რაზმაძე დიდი ლიახვის ხეობაში ქურთის პოლიციას ხელმძღვანელობდა.

გორის პოლიციის ყოფილი უფროსი დავით დათაშვილი, სავარაუდოდ, სწორედ ზურაბ რაზმაძის ადგილს დაიკავებს და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას უხელმძღვანელებს. დავით დათაშვილი ის პოლიციელია, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ციხიდან შს მინისტრის მოადგილის ლევან გვაზავას სახელით დაურეკეს და მობილურ ტელეფონზე 130 ლარი ჩაარიცხინეს.

გუშინ დილით შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა სურამის პოლიციის სრული შემადგენლობის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ჯუღელი აცხადებს, სურამში საკურორტო სეზონია და პოლიციას გაათმაგებული მუშაობა მართებს, თუმცა სამართალდამცველები დაკისრებულ მოვალეობას ჯეროვნად ვერ ასრულებენ. აქედან გამომდინარე, სურამის განყოფილების ყველა თანამშრომელი კადრების განკარგულებაში გადავიდა.

პოსტი დატოვა შიდა ქართლის საპატრულო სამმართველოს უფროსმა რამაზ ჩოჩიშვილმაც. ჩოჩიშვილის გათავისუფლების მიზეზი ჯერჯერობით არ კონკრეტდება. მის ადგილს კი კახეთის საპატრულო სამმართველოს უფროსი პაატა გიორგაძე დაიკავებს.

ინტერპრესნიუსი

საფრანგეთის საჩუქარი იუსტიციის სამინისტროს

საქართველოში საფრანგეთის საელჩომ ფოთის პორტში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჩუქრად გადასცა 10 საბადრაგო ავტომანქანა, რომელიც ქართული პენიტენციური სისტემისათვის საფრანგეთის შს სამინისტრომ გამოაგზავნა.

ავტომანქანების გადაცემის ცერემონიისას საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ საფრანგეთის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ეს საჩუქარი ფასეულია სასჯელაღსრულების სისტემისათვის.

კოტე კემულარიამ ნაჩუქარი ავტომანქანების გამართულობა თავად გამოსცადა და აღნიშნა, რომ საბადრაგო ავტომქანქანები სრულიად ახალია. მისი მეშვეობით სასამართლოში პატიმრების ბადრაგირება მოხდება, რაც, როგორც კომფორტის, ასევე სისწრაფის თვალსაზრისით, მდგომარეობას გააუმჯობესებს.

საფრანგეთის მხარემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საბადრაგო ავტომანქანები პოლიციისა და უსაფრთხოების სფეროში ტექნიკური დახმარების ფარგლებში გადასცა. ავტომანქანების ღირებულებაა 70 ათასი ევროა.

ცერემონიას ესწრებოდნენ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები - პირველი მრჩეველი, ჰაბიენ დრუ-ლოზინსკი, შიდა უსაფრთხოების ატაშე ვალერი მულერა-მაიე, აგრეთვე, საფრანგეთის ეროვნული პოლიციის ადმინისტრაციის ლოგისტიკის განყოფილების წარმომადგენელი პატრიკ დელორმი.

24 საათი

"საქსტანდარტის" ყოფილ ხელმძღვანელებს პატიმრობა შეუფარდეს

ჯანიკაშვილის ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და "საქსტანდარტის" ყოფილ გენერალურ დირექტორს მიხეილ ჯანიკაშვილს და მის პირველ მოადგილეს შოთა კოხრეიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ორივე ბრალდებული გუშინ სასამართლო პროცესიდან პირდაპირ ორთაჭალის საპყრობილეში გადაიყვანეს. დაპატიმრების შესახებ ბრძანების გამოცხადებას სასამართლო დარბაზში მყოფთა ხმამაღალი პროტესტი მოჰყვა. "პოლიტიკური ტერორი", - ასე შეფასდა ბრალდებულთა ახლობლების მხრიდან სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ ჯანიკაშვილისა და შოთა კოხრეიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა ორი თვის წინ დაიწყო. პროკურატურა მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებაში ედავებოდა. მაშინ საქალაქო სასამართლომ მიხეილ ჯანიკაშვილს გირაოს სახით 40 ათასი ლარის, შოთა კოხრეიძეს კი - 35 ათასი ლარის გადახდა შეუფარდა. გირაოს გადახდის საბოლოო ვადად 30 ივლისი დასახელდა. ჯანიკაშვილმა და კოხრეიძემ გირაოს გადახდა ვერ შეძლეს, რის შემდეგაც პროკურატურამ მათთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლა მოითხოვა და სასამართლოს ხელახლა მიმართა.

"საქსტანდარტში" შექმნილი იყო აკრედიტაციის დეპარტამენტი, რომელიც არაკომერციულ და არამომგებიან სააქციო საზოგადოებებზე აკრედიტაციებს გასცემდა. ნაცვლად იმისა, რომ "საქსტანდარტს" აკრედიტაციები არაკომერციულ საზოგადოებებზე გაეცა, იგი აკრედიტაციებს წლების განმავლობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზეც გასცემდა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტმა საერთო ჯამში 5 331 448 ლარი იზარალა," - აცხადებენ სახელმწიფო ბრალმდებლები.

ჯანიკაშვილისა და კოხრეიძის ინტერესების დამცველები კი ორი თვის წინაც და ახლაც ირწმუნებიან, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფებისთვის წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოა და ის კონტროლის პალატის ზოგად ანგარიშებს ეყრდნობა. ადვოკატების განმარტებითვე, კონტროლის პალატის ანგარიშები თავად პროკურატურის შეკვეთით შედგა.

ერთი სიტყვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში - საოლქო სასამართლოში გასაჩივრდება. უკვე პატიმრების - მიხეილ ჯანიკაშვილის და შოთა კოხრეიძის ადვოკატებს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის 48-საათიანი ვადა აქვთ.

24 საათი

რუსული ფინანსური ამნისტია ქართული კომენტარით

2006 წლის პირველი იანვრიდან რუსეთში ფიზიკური პირების კაპიტალის ამნისტია ამოქმედდება. რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, რუსეთის მოქალაქეებმა 2005 წლის პირველ იანვრამდე მიღებული შემოსავლების დეკლარირება უნდა განახორციელონ და კუთვნილი თანხა, 13-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის გადახდასთან ერთად, რუსეთის კომერციულ ბანკებში შეიტანონ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კაპიტალის ამნისტიის გამოცხადება სწორად გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. **"თუმცა, იგი გაცილებით მძიმეა, ვიდრე ლეგალიზების ის სქემა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა. კაპიტალის ლეგალიზება ისეთი ლიბერალური ფორმით, როგორც ეს საქართველოში ხორციელდება, მსოფლიოში იშვიათად ხდება: იურიდიული პირები სრულად თავისუფლდებიან ყველა ძველი საგადასახადო ვალდებულებებისაგან; ფიზიკურ პირებს შეეძლოთ არადეკლარირებული შემოსავლის საბანკო სისტემის მეშვეობით ლეგალიზება ყოველგვარი გადასახადის გარეშე; საგადასახადო სამსახურში შემოსავლის დეკლარირების შემთხვევაში კი, პირს გაცხადებული თანხის ან ქონების ღირებულების მხოლოდ ერთი პროცენტის გადახდა მოუწევს,"** - აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

საქართველოში დაფარული ქონების (შემოსავლის) დეკლარირება-ლეგალიზაციის პროცესი 2005 წლიდან მოქმედებს. შესაბამისი კანონის საფუძველზე, დაფარული ქონების (შემოსავლის) დეკლარირება-ლეგალიზაციას დაქვემდებარებულ პირს შეეძლო, მიმდინარე წლის პირველი მაისიდან პირველ აგვისტომდე ჩაერიცხა ფულადი სახსრები საქართველოს კომერციულ ბანკში ვადიან ან შემნახველ ანაბარზე ეროვნული ან უცხოური ვალუტით ნაღდი ფულის შეტანით ან საზღვარგარეთიდან ფულის გადმორიცხვით. **"სამწუხაროა, რომ საბანკო სისტემის მეშვეობით ლეგალიზების შანსი ბევრმა ხელიდან გაუშვა. თუმცა, წლის ბოლომდე ლეგალიზების სხვა მეთოდის გამოყენების მიმზიდველობა, თუ რუსეთის მაგალითს შევადარებთ, აშკარად თვალშისაცემია,"** - განაცხადა რომან გოცირიძემ.

"არადეკლარირებული შემოსავლების ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლა მთელ მსოფლიოში მკაცრდება. არა მგონია, საქართველოს მოქალაქეებს უახლოესი ათწლეულების განმავლობაში ასეთი შანსი მეორედ მიეცეთ," - აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

24 საათი

სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ქუთაისში გაიხსნება

ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პრეზენტაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ქუთაისში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა იქმნება, რომლის გახსნის იდეაც ზურაბ ჟვანიას ეკუთვნოდა. როგორც გუშინ სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე აღინიშნა, სკოლის საქმიანობის საგანია მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებსა და კონფლიქტების ზონებში სხვადასხვა დონის მმართველობის და თვითმმართველობის მოხელეების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

სკოლის მიზნებია მოქმედ ან პოტენციურ საჯარო მოხელეთა უზრუნველყოფა სახელმწიფო ადმინისტრირების კურსებით - მათი კვალიფიკაციისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების, პროფესიული სრულყოფის მიზნით, და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საჯარო მოხელეთა უზრუნველყოფა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსებით.

საჯარო მოხელის მომზადების კურსი სამთვიანია. ასევე სამ თვეს გასტანს სახელმწიფო ენის შესწავლის ინტენსიური კურსი. ყოველ ქართულენოვან ნაკადში, მაღალმთიანი და კონფლიქტური ზონიდან 25 მსმენელი იქნება - წელიწადში 100. ხოლო არაქართულენოვან ნაკადში - 50 მსმენელი: - 25 სამცხე -ჯავახეთის რეგიონიდან, 25 - ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან. სკოლის საგანმანათლებლო პროგრამას წელიწადში, მინიმუმ, 300 საჯარო მოხელე გაივლის.

პირველ ნაკადში - 2005 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე მომზადდება 75 სახელმწიფო მოხელე მაღალმთიანი და არაქართულენოვანი რეგიონებიდან. რეგიონებში სპეციალური კომისიები შეარჩევენ კანდიდატურებს. მსმენელებს დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარის ოდენობით.

როგორც გუშინ პრეზენტაციაზე აღნიშნეს, სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ხელს შეუწყობს როგორც საჯარო მოხელეთა პროფესიული დონის ამაღლებას, ასევე, საქართველოს სამოქალაქო ინტეგრაციას.

სკოლა განთავსდება ქ. ქუთაისში, მრავალპროფილიანი ტექნიკური სკოლა-ლიცეუმის შენობაში.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. თავდაცვის სამინისტრო სამცხე-ჯავახეთის მხარეში შეიარაღებული ძალებისათვის საკვები პროდუქტების შესყიდვის პროცესს იწყებს.

პირველ ეტაპზე, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონულ გამგეობებში 10 აგვისტოს გაიხსნება კვების პროდუქტების შესყიდვის საინფორმაციო პუნქტები, სადაც ინფორმაციებს მიიღებენ საკვები პროდუქტების, მათ შორის, კარტოფილის, ხორცის, ყველის, ბოსტნეულის რაოდენობის, ფასის და მიწოდების ინტენსივობის შესახებ.

აღნიშნულ ბიუროებში თავდაცვის სამინისტროდან ერთი კვირის განმავლობაში მივლინებულია სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის მუშა ჯგუფი, რომელიც ადგილზე შეისწავლის სიტუაციას. რეგიონში ჩასვლას და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრას გეგმავს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველი, რუსი და აფხაზი რკინიგზელების სოხუმში დაგეგმილი შეხვედრის ჩაშლაში აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია აფხაზურ მხარეს ადანაშაულებს.

შეხვედრაზე მხარეებს აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის ტექნიკურ საკითხებზე უნდა ემსჯელათ. ალასანიას განცხადებით, რომ აფხაზებმა ქართული დელეგაციის შემადგენლობიდან რამდენიმე წევრის, რომლებიც დევნილები არიან, გამოყვანა მოითხოვეს. აფხაზთა ასეთი პოზიციის გამო, ქართული დელეგაცია სოხუმში აღარ გაემგზავრა და ზუგდიდიდან თბილისში დაბრუნდა. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იმედს გამოთქვამს, რომ აფხაზები პოზიციას შეიცვლიან და შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთში მოქმედმა 15-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებშიც გაერთიანებული არიან რუსები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, პოლონელები, რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართა. "დაბეჯითებით გთხოვთ, აფხაზეთი არ მიაკუთვნოთ საქართველოს. ეს ჩვენ შეურაცხყოფას გვაყენებს. დადგა დრო, გადაწყდეს ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხები. ჩვენ გვამცირებს ამ საკითხებისადმი რუსეთის ზოგიერთი ჩინოვნიკის დამოკიდებულება. კერძოდ, ის ფაქტები, რასაც რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე გაწყდებით. ჩვენ გვაოცებს რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვრის არსებობა," - ნათქვამია წერილში. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. ბათუმში, გონიოს პოლიგონის მიმდებარე ტერიტორიულ წყლებში, ორ რუსულ სადესანტო ხომალდს დღეს ელოდებიან. პოლიგონზე თავმოყრილი, ბათუმის რუსული სამხედრო ბაზის ტექნიკა სწორედ ამ ხომალდებით უნდა გაიტანონ. როგორც ქალაქ ბათუმის კომენდანტმა გოჩა ნინიძემ განაცხადა, ტექნიკის დატვირთვას, სავარაუდოდ, ორი-სამი დღეს დასჭირდება, რის შემდეგაც ხომალდები ნოვოროსიისკის მიმართულებით გაემართება. მისივე თქმით, სულ, გონიოს პოლიგონიდან 40 ერთეული მძიმე სამხედრო ტექნიკა გავა, მათ შორის, 20 ტანკი და ხუთი ჯავშანტრანსპორტიორი. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოსა და ფინეთის სასაზღვრო უწყებების პირველმა პირებმა ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაცია გააფორმეს. ხელმოწერის საზეიმო ცერემონია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გაიმართა. დოკუმენტს ხელი საქართველოს სასაზღვრო უწყების პირველმა პირმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბადრი ბიწაძემ და ფინეთის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა, ვიცე-ადმირალმა იაკო ჰოლანდერმა მოაწერეს.

როგორც ხელმოწერის დასრულების შემდეგ ვიცე-ადმირალმა იაკო ჰოლანდელმა განაცხადა, სექტემბრიდან საქართველოში ფინელი ექსპერტი ჩამოვა, რომელიც ქართულ მხარეს როგორც ტრენინგების გამართვაში, ისე კანონმდებლობის დახვეწაში დაეხმარება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამშვიდობო ძალების ნარმომადგენლებმა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიიდან სლოვენიის მოქალაქე გააძევეს. ამის შესახებ სააგენტო "ინტერფაქსი" შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლებზე დაყრდნობით იუწყება. სლოვენიის მოქალაქე მატრიც განიცი სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში მდებარე დასახლებული პუნქტის წნელისის მიდამოებში დააკავეს, სადაც ის გაერთიანებულ შტაბთან შეუთანხმებლად იმყოფებოდა. დაკავებულმა განაცხადა, რომ საქართველოში ტურისტად ჩამოვიდა, კონფლიქტის ზონაში კი "ცნობისმოყვარეობის გამო" შევიდა. სლოვენიის მოქალაქე საქართველოს შს სამინისტროს გადაეცა, - განაცხადა სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენელმა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საარჩევნო სისტემას ოქტომბრისთვის 30 ფასილიტატორი, ანუ ტრენერი ეყოლება. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციას (ცესკო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები) პროფესიული განვითარების კურსებს ჩაუტარებენ. ასეთი ტრენერები ცესკოს დღემდე არ ჰყოლია. ფასილიტატორთა მომზადების სასწავლო სტრატეგია ცესკო-მ საერთაშორისო ორგანიზაცია idea-სთან ერთად შეიმუშავა. ამ პროექტს ნიდერლანდების მთავრობა აფინანსებს. ფასილიტატორთა მომზადების საჭვენებელი სემინარი სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" 9 აგვისტოს გაიხსნა და ორ დღეს გაგრძელდება.

ოფიციალურად კი კონკურსის შედეგად შერჩეულ 30 ფასილიტატორს ტრენინგი ოქტომბერში ჩაუტარდება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მეოთხე რევოლუციური ხელისუფლება იმერეთში

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პრეზიდენტის პირველი პოსტრევოლუციური რწმუნებული დავით მუმლაძე იმერეთში 10 თვის მანძილზე მოღვაწეობდა. ამ პერიოდში იმერეთი მუმლაძის მოწინააღმდეგეთა საპროტესტო აქციებმა მოიცვა, რის შემდეგაც შს მინისტრის მოადგილის პოსტის გავლით, მუმლაძე პოლიტიკის მიღმა, კერძო ბიზნესში აღმოჩნდა.

მუმლაძის შემდეგ იმერეთში ახალი რწმუნებული მაშინდელმა პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ წარადგინა. შს მინისტრის მოადგილემ გია გეწაძემ იმერეთში მხოლოდ ხუთი თვე დაჰყო და შემდეგ, მუმლაძის მსგავსად, შს მინისტრის მოადგილის პოსტის გავლით, კერძო ბიზნესში გადაინაცვლა. გეწაძის წინააღმდეგ იმერეთში საპროტესტო აქციები არ გამართულა, თუმცა მისი ხუთთვიანი მოღვაწეობა მუმლაძეზე უფრო სკანდალური აღმოჩნდა. სკანდალები კი გეწაძემ ენერგოკომპანიის დისპეტჩერის ცემით დაიწყო.

მუმლაძისა და გეწაძის იმერეთში მოღვაწეობის პრაქტიკამ დაბადა ამ რეგიონისადმი ის "შიში", რაზეც ბობოხიძემ ღიად განაცხადა. ამ შიშის გამო, დაახლოებით სამი თვის განმავლობაში, იმერეთს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ქაჯაია მართავდა. ქაჯაია ბოლომდე იმედოვნებდა, რომ მისი დიდი ხნის ოცნება ასრულდებოდა და პრეზიდენტის რწმუნებული გახდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი კვლავაც რწმუნებულის პირველი მოადგილის პოსტს დაუბრუნდა. ეს თანამდებობა მან ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მიიღო.

აკაკი ბობოხიძის წარდგენა ქუთაისში.

იმერეთში რწმუნებულობის გამო პარლამენტთან გამოთხოვება, მუმლაძის მსგავსად, აკაკი ბობოხიძესაც მოუხდა. ხონის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის დათმობით გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ კი, ბობოხიძე ცენტრალური ხელისუფლებისგან გარკვეულ გარანტიებს ითხოვს.

"მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მთავრობა არ განასხვავებს საქართველოს რეგიონებს ერთმანეთისგან, მაგრამ წინასწარ მინდა პირობა მივიღო ბატონი ზურაბისგან, რომ იმერეთს სრული მხარდაჭერა ექნება ცენტრალური ხელისუფლებისგან. მხარე არ არის დამოუკიდებელი ერთეული, ამიტომ ვაპირებ იმის გაკეთებას, რა პროგრამებიც აქვს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას იმერეთში, ოღონდ უფრო აქტიურად, ვიდრე ეს აქ დღემდე მიდიოდა, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო," - განაცხადა ახალმა რწმუნებულმა.

აკაკი ბობოხიძემ სამუშაო ოთახი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში უკვე დაიკავა. პირველი სამუშაო დღე მან საკუთარ თანამშრომლებთან და თანაპარტიელებთან დიალოგს დაუთმო. პირველადი ინფორმაციის საფუძველზე, ახალი რწმუნებული ამბობს, რომ საკადრო ცვლილებებს რეგიონში არ განახორციელებს.

"ნებისმიერ ადამიანთან, ვინც დღემდე მუშაობდა იმერეთის მხარეში, ნორმალური ურთიერთობა მაქვს და თუ იმ ტემპებს ავყვებით, რა მოთხოვნასაც გვიყენებს მეც და სხვა თანამდებობის პირებსაც პრეზიდენტი, არანაირი პრობლემა არ იქნება. პრეზიდენტი ჩემგან ითხოვს, რომ არ უნდა იყოს იმერეთში არც ერთი რაიონი, რომელშიც ყოველ კვირაში ერთი პატარა ობიექტი მაინც არ გაიხსნება," - აცხადებს კაკო ბობოხიძე.

ახალი რწმუნებული ამბობს, რომ თავისი ცალკე გუნდი არ ჰყავს, ამიტომ ძირითადად "ნაციონალების" გუნდთან ითანამშრომლებს. მაგრამ თუ "ნაციონალებსა" და ქუთაისის მთავრობას შორის არსებულ დაპირისპირებას გავითვალისწინებთ, ცხადია, საკადრო ცვლილება ქუთაისის მერიას მაინც გადაუვლის. ასეთ შემთხვევაში, ქუთაისის მერობისთვის კიდევ ერთი პარლამენტარი გოჩა თევდორაძე ემზადება.

თუმცა, იმერეთში დღეს მხოლოდ ერთ რამეზე "მკითხაობენ": ნეტავ, რამდენ ხანს გაძლებს აქ პრეზიდენტის მორიგი რწმუნებული?

აფხაზეთში ოპოზიციის გაერთიანება ჭიანურდება

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ოპოზიციონერთა ვარაუდით, ეს, ალბათ, აგვისტოს ბოლოს მოხდება.

რეგიონული კონფერენციებისა და სოხუმში დამფუძნებელი ყრილობის გამართვის შემდეგ შეიქმნება მოძრაობა "სახალხო-პატრიოტული კავშირი". ის ფაქტი, რომ ეს ორგანიზაცია "მოძრაობად" ყალიბდება და არა პოლიტიკურ პარტიად, იმაზე მეტყველებს, რომ ოპოზიციამ თავდაპირველი გეგმები ვერ განახორციელა.

კანონმდებლობის მიხედვით, პარტიაში, სულ ცოტა, 500 ადამიანი უნდა იყოს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში კი - არანაკლებ 200 კაცისა. სწორედ ეს მომენტი მეტყველებს ოპოზიციის ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბების სირთულეებზე. რამდენადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა უკვე რეალურად აყალიბებს ფორუმს, საეჭვოა, რომ კიდევ ერთი ანალოგიური ფუნქციის მქონე ორგანიზაცია სიცოცხლისუნარიანი გამოდგეს. ერთიანი პარტიის შექმნა კი ყოვნდება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საერთო საქმის სასარგებლოდ საკუთარ ამბიციებზე უარის თქმას ოპოზიციაში არავინ აპირებს.

ერთიანი ოპოზიციური პარტიის შექმნის კონცეფციას ყველაზე მეტად ფორუმის ლიდერი გენადი ალამია ემხრობა. ამასთან, იგი უარზეა, თავი ოპოზიციად მიიჩნიოს და აცხადებს, რომ "ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს, მაგრამ სიტუაციას სხვადასხვაგვარად ვხედავთ". თუმცა, ექსპერტების აზრით, ერთიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებით სწორედ ალამია და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა არიან სხვებზე მეტად დაინტერესებულნი. საქმე ის არის, რომ გასულ წლის პოლიტიკური კატაკლიზმების დროს მათ მიერ დაფუძნებული სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველაზე მსხვილი სტრუქტურაა ფორუმში. იგი 1500 წევრს ითვლის და ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, არც ერთ ოპოზიციურ სტრუქტურას მასთან კონკურენცია არ შეუძლია. სხვა მოძრაობები, ძირითადად, მარგინალურია, სახალხო პარტია სტაგნაციაში იმყოფება და, ამდენად, ლიდერობა სოციალ-დემოკრატებს მტკიცედ უპყრიათ ხელთ.

სავსებით ნათელია, რომ "მარგინალური სტრუქტურები" ასეთი პერსპექტივისთვის მზად არ არიან. ერთიანი ოპოზიციის შექმნა, სოციალ-დემოკრატიული პარტიით სათავეში, მათ ხელს არ აძლევს. სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ოპოზიციის გაერთიანება ამ მომენტში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ჩარჩოებით შემოიფარგლოს.

გადასაწყვეტია ლიდერის პრობლემაც. გენადი ალამიას თქმით, არსებობს ოთხი კანდიდატურა. თუმცა, მათ ვინაობას არ ასახელებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საუბარია გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის ყოფილ ხელმძღვანელზე ადგურ ხარაზიაზე და პირველი პრეზიდენტის ყოფილ თანაშემწეზე ასტამურ ტანიაზე. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ გაერთიანების ლიდერობაზე არც ალამია იტყვის უარს. რაც შეეხება ბოლო, მეოთხე კანდიდატურას, არსებობს მოსაზრება, რომ ეს არის ცნობილი ბიზნესმენი პაველ არძინბა.

ძველი ხელისუფლების დროს მიიჩნეოდა, რომ ეს უკანასკნელი "რუხი კარდინალია", რომელზეც დამოკიდებულია სახელმწიფო მართვის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ოპოზიციურ გაზეთ "ფორუმში" გამოქვეყნებული მისი ინტერვიუ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის პრესისთვის მიცემული მისი პირველი ინტერვიუ. მანამდე იგი მთლიანად "დახურული" იყო საზოგადოებისთვის. ანალიტიკოსების მტკიცებით, აღნიშნული ინტერვიუ საზოგადოებისთვის პაველ არძინბას "გახსნას" ემსახურება. მისი პოლიტიკური კარიერა კი ახლანდელ პირობებში საკმაოდ რეალურია.

ანალიტიკოსების უმეტესობა ერთიანი ოპოზიციური ალიანსის შექმნის გარშემო შექმნილ სიტუაციას დროებითად მიიჩნევს. მათი აზრით, იგი ბუნებრივად გამომდინარეობს ხელისუფლების "იმპოტენციისგან", რომელიც პროსახელისუფლებო პოლიტიკური სტრუქტურებისგან პარტიის შექმნას ვერ ახერხებს. "როგორც კი ხელისუფლება გაერთიანებას და ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას გადაწყვეტს, ოპოზიცია ყველა ამბიციას უცებ დაივიწყებს და პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება," - აღნიშნავენ ექსპერტები.

"საქნავთობმა" თანამშრომლები დააჯილდოვა

მთავრობამ თელეთის №60 ჭაბურღილის ამოქმედება აღნიშნა

გუშინ თელეთის "საქნავთობის" გენერალურმა დირექტორმა ვანო ნაკაიძემ ეკონომიკის მინისტრთან ირაკლი ჩოგოვაძესთან ერთად მე-60 ჭაბურღილის 22 თანამშრომელს შრომით საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის ფულადი პრემიები გადასცა.

როგორც "საქნავთობის" გენერალურმა დირექტორმა ივანე ნაკაიძემ დაჯილდოების ცერემონიალზე განაცხადა, "საქნავთობმა" ახალი მენეჯმენტის და მწირი ტექნიკური რესურსების წყალობით შეძლო თელეთის ლიკვიდირებული და უპერსპექტივო ჭაბურღილის ამოქმედება, რომელიც ნავთობის სტაბილური მოპოვების პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტს 3,5 მლნ ლარის შემოსავალს მოუტანს.

ნაკაიძის განმარტებით, 1990 წელს გაბურღული და შემდეგ დაკონსერვებული ჭაბურღილის კაპიტალური შეკეთება მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო და სამუშაოები 36 ათასი ლარი დაჯდა. "ნავთობმა ჭაბურღილიდან შადრევნირება 15 ივლისს დაიწყო. დღევანდელი მონაცემებით, მოპოვებულია 360 კუბური მეტრი ნავთობი, რაც ამჟამინდელი საბაზრო ღირებულებით 300 ათასი ლარია. ჭაბურღილიდან დღე-ღამეში 13 ტონა ნავთობს მოიპოვებენ," - განაცხადა ნაკაიძემ.

მისივე თქმით, სამგორის საბადოს ტერიტორიაზე, სადაც თელეთის ჭაბურღილი მდებარეობს, კიდევ 5 ლიკვიდირებული ჭაბურღილია, რომლთა ასამოქმედებლად მუშაობა წლის ბოლომდე გაგრძელდება.

ნაკაიძის გათვლებით, სამგორის საბადოზე 2 მლნ ტონა ნავთობის მარაგია. "მათი ამოქმედების შემთხვევაში, საქართველოში ნავთობის მოპოვების მაჩვენებლები მკვეთრად გაიზრდება და ამ სფეროში, წინა წელთან შედარებით, წლევანდელი 65-პროცენტიანი ჩამორჩენა აღმოიფხვრება," - განაცხადა "საქნავთობის" გენერალურმა დირექტორმა.

მისი თქმით, ჭაბურღილზე მოპოვებული ნედლი ნავთობი საექსპორტოდ რუმინეთში, საბერძნეთში და ბულგარეთში გადის.

24 საათი

ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში საკონსტიტუციო რეფორმის გატარების ინიციატივით გამოდის

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთში საკონსტიტუციო რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ საუბრობს და რეფორმის განხორციელების სავარაუდო ვადად 2-3 წელს ასახელებს.

"აფხაზეთის კონსტიტუციაში ისეთი მუხლებია, რომელთაგან იგი აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს," - აღნიშნა ალექსანდრე ანქვაბმა გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

ანქვაბი აფხაზეთის რეალობისთვის ზედმეტად მიიჩნევს პრემიერ-მინისტრის პოსტის არსებობას და მიიჩნევს, რომ აფხაზეთის მართვა პრემიერის გარეშეც ეფექტურად და ეკონომიურად არის შესაძლებელი, თუ მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში იქნება კონცენტრირებული.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების აუცილებლობაზე იგი აფხაზეთში 2005 წლის იანვარში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდშიც საუბრობდა და ახლაც ამავე აზრს ემხრობა. ანქვაბს აუცილებლად მიიჩნია აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, რომლითაც აღმასრულებელი ვერტიკალი ისარგებლებს. მისივე აზრით, ამგვარი სისტემის შექმნა საგრძნობლად შეამცირებს ბიუროკრატიული აპარატის შენახვის აუცილებლობას და რამდენიმე სამინისტროს ფუნქციონირებას მიზანშეუწონელს გახდის.

მისივე პროგნოზით, აფხაზეთში კონსტიტუციური რეფორმის გატარება 2-3 წელიწადში იქნება შესაძლებელი. მას შემდეგ, რაც "ქვეყანაში შესაბამისი სპეციალისტები, ტექნიკა და სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბდება".

ინტერპრესნიუსი

დაპირისპირება აჭარის უმაღლეს საბჭოში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში დაპირისპირება მწვავდება. აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა "რესპუბლიკელი" მურმან დუმბაძის მიერ გაკეთებულ განცხადებებს.

მიხეილ მახარაძის აღშფოთება გამოიწვია გაზეთ "მთელ კვირაში" გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, განსაკუთრებით კი ოპონენტის ერთმა ფრაზამ, რომლის მიხედვითაც, მიხეილ მახარაძის პირველი წიგნი "სხალთის ზარები", რომელიც ასლან აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, მურმან დუმბაძემ "საკუთარი ჯიბიდან" დააფინანსა.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ დუმბაძე მხოლოდ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ გაიცნო, აქედან გამომდინარე, იგი 1994 წელს გამოცემულ წიგნს ვერ დაუფინანსებდა.

მიხეილ მახარაძე მიიჩნევს, რომ "რესპუბლიკელები" დაჩაგრულის იმიჯის შექმნას ცდილობენ და უმაღლეს საბჭოს ავტორიტეტს ულახავენ.

ინტერპრესნიუსი

"ლეიბორისტები" დედაქალაქის მერს ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტია" დედაქალაქის მერს გიგი უგულავას ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს. შესაძლოა, პარტიის წევრებმა თბილისის საკრებულოს სხდომაზე უგულავას იმპიჩმენტის საკითხი დააყენონ.

როგორც თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრმა სოსო შატბერაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, დედაქალაქის მერმა, მეუღლესთან ერთად სტრასბურგსა და პარიზში ვიზიტისას, 6 510 ლარი დახარჯა და ამ საკითხზე ფრაქცია მერის საკრებულოს წინაშე ანგარიშით წარდგენას მოითხოვს.

შატბერაშვილის თქმით, ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი წევრისგან იღებენ და უგულავას ამ დარღვევების თაობაზეც მისგან შეიტყვეს.

გიგი უგულავა სტრასბურგსა და პარიზში ვიზიტით 28 ივლისიდან პირველ აგვისტომდე იმყოფებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

ნავთობმა საქართველოს საზღვრები გადმოლახა

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ნავთობის პირველმა ნაკადმა აზერბაიჯანის საზღვარი გადმოლახა და შემოვიდა საქართველოში. ნავთობი მიიღეს საქაჩ სადგურ 1-ში, გარდაბნის მახლობლად, - აცნობეს გუშინ BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან "24 საათს".

საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ რიფ დიგინგსმა, BP-ს საქართველოს გენერალურმა მენეჯერმა, განაცხადა: **"ეს გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი დღე საქართველოსათვის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ინვესტორებისა და BP-სათვის, რომელიც მილსადენების მშენებელი და ოპერატორია. ეს არის ის დღე, როცა ჩვენ ვხედავთ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მილსადენის პროექტის დასრულების პირველ ხელშესახებ შედეგებს საქართველოში. ეს ასევე ადასტურებს იმას, თუ როგორი არაჩვეულებრივი შედეგების მოტანა შეუძლია მთავრობასა და კერძო ინვესტორებს შორის კარგ თანამშრომლობას."**

მილსადენის მარშრუტის სიგრძე ბაქოს მახლობლად მდებარე სარგაჩალის ტერმინალიდან საქართველოს გავლით ჯეიჰანის ახლადაშენებულ საზღვაო ტერმინალამდე, რომელიც თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირა სანაპიროზე მდებარეობს, 1770 კილომეტრს შეადგენს. მისი ეტაპობრივი შევსება წარმოადგენს თანამიმდევრულ პროცესს, რომელსაც რამდენიმე თვე და 10 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობი სჭირდება.

ნავთობი მოდის კასპიის ზღვის აზერბაიჯანის მონაკვეთზე მდებარე აზერი-ჩირაგ-გუნაშლის (ACG) საბადოდან და ჯეიჰანში პირველი ტანკერის ჩატვირთვა მოსალოდნელია 2005 წლის მე-4 კვარტალში.

პირველი ნავთობის შემოსვლის ოფიციალური აღნიშვნის ცერემონია, რომლის მასპინძლებიც იქნებიან საქართველოს მთავრობა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია და რომელსაც დაესწრებიან მოწვეული სტუმრები როგორც საქართველოდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან, თბილისში 2005 წლის 12 ოქტომბერს გაიმართება.

რა ხდება უნივერსიტეტში

როგორ მიდის რეფორმა უნივერსიტეტში, რა იცვლება, რა კონკრეტული შედეგები აქვს ბოლონიის პროცესთან მიერთებას, რა უფლებები მოიპოვეს თბილისის უნივერსიტეტის კუსდამთავრებულებმა, როგორი იქნება სწავლების ახალი სისტემა უნივერსიტეტში და რამდენად დემოკრატიული და მოქნილია ის, ვის შეუძლია გახდეს უნივერსიტეტის პროფესორი, როგორ ტარდება შესარჩევი კონკურსები - ამ და უნივერსიტეტის მომავალთან დაკავშირებულ სხვა მრავალ შეკითხვაზე პასუხი საქართველოში ყველას აინტერესებს, ყოფილ უნივერსიტეტელებს, ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს და ლექტორებს.

ნინო ლურსმანაშვილი

ბოლონია. 1999 წლის 19 ივნისი. უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შესაქმნელად 28 ქვეყნის განათლების მინისტრი ხელს აწერს დეკლარაციას, რომელიც საერთო ევროპულ მოთხოვნებსა და ფასეულობებზე დამყარებული ერთიანი სასწავლო სისტემის შემოღებას ითვალისწინებს.

მანამდე კი იყო 1988 წლის უნივერსიტეტების დიდი ქარტია (**Magna Charta Universitatum**), რომელმაც საფუძველი დაუდო ე. წ. **ბოლონიის პროცესს.**

დღეს ბოლონიის პროცესთან უკვე 45 ქვეყანაა მიერთებული. 2005 წლის მაისში საქართველოს განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ ბერგენში (ნორვეგია) ხელი მოაწერა ბოლონიის ბოლო დოკუმენტს. კანონი განათლების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ბოლონიის პროცესში ჩაბმის წინაპირობად იქცა. სწორედ ამ კანონმა განსაზღვრა დეკლარაციასთან საქართველოს მიერთების უფლების მიღება.

ახალი სისტემის ზღურბლზე

განათლების სისტემის ინტერვენცია საქართველოში პოლიტიკურ ინტერვენციასთან ერთად მოხდა- რუსული თუ ამ უკანასკნელის მემკვიდრე განათლების საბჭოური სისტემის ინტერვენციის შედეგია ჩვენთვის დღემდე მიუღებელი სწავლების ფორმები და მეთოდები. რუსეთმა კი თავის მხრივ, განათლების მოდელი გერმანიიდან გადმოიღო პეტრე დიდის დროს.

ბოლონიის პროცესთან მიერთება საქართველოში სრულიად ახალი განათლების სისტემის დანერგვას ნიშნავს, რომლის განხორციელება უფრო ადრე დაიწყო და სწორედ დაწყებულმა რეფორმებმა მისცა საქართველოს ბოლონიის პროცესში ჩართვის საშუალება.

რა უფლებები მივიღეთ

რადგენაც საერთო ევროპულ სახლთან გაერთიანებისაკენ მივისწრაფვით და ევროპელობა გვინდა, ამ რეფორმის არსიც უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან შერწყმაში მდგომარეობს**. ქართველ ახალგაზრდებს არა მხოლოდ ევროპული განათლების მიღების საშუალება ექნებათ, არამედ ისინი კონკურენტუნარიანები იქნებიან შრომისა და დასაქმების ე. წ. ევროპულ ბაზარზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია ამ პროცესში. სავარაუდოდ, 2009 წლიდან თსუ-ს კურსდამთავრებულის დიპლომი საერთაშორისო ევროპული სტანდარტების შესაბამისი იქნება.**

აქამდე მოსამზადებელი პერიოდი მიმდინარეობდა, რეალურად კი უნივერსიტეტში რეფორმა დაიწყება მაშინ, როდესაც ახალ 2005-2006 სასწავლო წელს პირველი სტუდენტი პირველ ლექციაზე შევა. მოსამზადებელი სამუშაოსათვის უდიდესი ძალისხმევა და შრომაა გაწეული, უპირველეს ყოვლისა, კორუფციის დასამარცხებლად და საგამოცდო კომისიის კორუმპირებული პიროვნებებისგან გასაწმენდად, აგრეთვე, უნივერსიტეტის საკუთრების აღრიცხვის მოწესრიგებას და საფინანსო-სამეურნეო სისტემის დალაგებას.

შემუშავდა პროგრამა ბაკალავრიატისათვის და, ნაწილობრივ, მაგისტრატურისათვის. სრულყოფილი ინფორმაცია განთავსებულია ინტერნეტგვერდებსა და ბეჭდურ გამოცემებში, თუმცა, მაინც არის საჭირო აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რომელიც სტუდენტს გასაგებ ენაზე აუხსნის და შეაჩვევს ახალ და სრულიად უცნობ სისტემას, მიაწვდის ყოველგვარ ინფორმაციას, თუ სად, როდის, რა ფორმით შეუძლია ამა თუ იმ საგნის შესწავლა, ანუ ზუსტად ეცოდინება, როგორ მიიღოს განათლება.

კრედიტები და არჩევანის შესაძლებლობა

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (**ECTS**) დანერგვა "საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ" სავალდებულოა 2009-2010 სასწავლო წლისათვის, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეს სისტემა უკვე 2005-2006 სასწავლო წლისათვის შემოიღო როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურებზე. კრედიტების სისტემა წარმოადგენს სრულიად ახალ, თუმცა გამჭვირვალე ფორმას, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული სალექციო კურსის ნორმატივის მიღებას სტუდენტის მიერ. ახალგაზრდამ თითო კურსზე უნდა მოისმინოს 30 საბაზო კრედიტი (ერთი კრედიტი არის 20-25 სალექციო საათი), ანუ პირობითი სალექციო ერთეული, რომლის საფასურსაც სტუდენტი ან თვითონ ანაზღაურებს ან ვაუჩერის სახით განათლების სამინისტრო გადაუხდის, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგის შესაბამისად. განათლების ერთიანი სასწავლო სავალდებულო კურსის გარდა, სტუდენტს შეუძლია თავად ამოირჩიოს ის დამატებითი საგნები, რომელიც სურს და გაიღრმავოს ცოდნა სასურველ სფეროში. მაგალითად: თუ მომავალი ჟურნალისტი სახელოვნებო სფეროში აპირებს საქმიანობას, ის ხელოვნების ისტორიას და და სხვა შესაბამის სასწავლო კურსს აირჩევს. ასე რომ, დამატებითი საგნების არჩევისას, კურსზე შეიძლება სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები მოხვდნენ. სტუდენტს შეუძლია ერთ სასწავლო წელს 30 ძირითადი და 30 დამატებითი სასწავლო კურსი მოისმინოს. **ეს არის დემოკრატიული მიდგომა სწავლების სისტემაში, როცა სტუდენტი ირჩევს სასურველ საგნებს და მისთვის სავალდებულო არ ხდება სპეციალობის შეუსაბამო ისეთი საგნების შესწავლა, რაც მას სრულებით არ აინტერესებს. ეს, რასაკვირველია, გარკვეული დოზით, კორუფციის შემცირების პირობაც არის.**

სტუდენტთა და პედაგოგთა მობილურობის პირობა

ბოლონიის პროცესი ითვალისწინებს უმაღლეს განათლებაში ევროპული განზომილებების დანერგვას, კურიკულუმების (საგანმანათლებლო პროგრამების) განვითარებას, სასწავლებლებს შორის თანამშრომლობას, მობილობის სქემებს და სწავლების, წვრთნისა და კვლევების ინტეგრირებული პროგრამების შექმნას.

ბოლონიის დეკლარაციიდან გამომდინარე, არსებობს სასწავლო დისციპლინების (კურსთა) ნუსხა, რომელიც ერთიანი ევროპული სივრცისათვის საერთო იქნება. ეს კურსები იქმნება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და ყველა უმაღლესი სკოლისათვის მეტ-ნაკლებად ერთნაირია. ეს შეთანხმება მნიშვნელოვანია სტუდენტთა გაცვლის პროცესისა და ერთიანი ევროპული დასაქმების განვითარებისათვის. **სტუდენტს საშუალება აქვს, ნებისმიერ დროს სწავლა გააგრძელოს ევროპის ნებისმიერ უნივერსიტეტში და მისთვის დაბრკოლება აღარ იქნება პროგრამების შეუსაბამობა, როგორც აქამდე იყო.** ბოლონიის დეკლარაციასთან მიერთება ხელს უწყობს და აადვილებს უმაღლესი სასწავლებლის გასვლას საერთაშორისო არენაზე, უზრუნველყოფს გლობალურ სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეობას, არა მხოლოდ სტუდენტთა, არამედ პედაგოგთა გადაადგილებასაც. დეკლარაცია ითვალისწინებს განათლების საერთო სასწავლო პროგრამების დაფინანსებას სპონსორთა საერთაშორისო ფონდიდან. საქართველოს განათლების სამინისტროში მობილიზებული თანხები სწორედ რეფორმის განხორციელებას უნდა მოხმარდეს.

სამეცნიერო ხარისხების ახალი სისტემა

რეფორმის შედეგად უქმდება საბჭოთა განათლების სისტემიდან შემორჩენილი სამეცნიერო ხარისხები: მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი, რომლის მატარებელ ადამიანთა ერთ ნაწილს სიტყვა "მეცნიერებასთან" საერთო არაფერი აქვს. რჩება მხოლოდ ერთი ხარისხი - დოქტორი, რომელიც ენიჭება მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლების დასრულების შედეგად. რაც შეეხება ისეთ მიმზიდველ და რესპექტაბელურ თანამდებობებს, როგორიცაა პროფესორი, მას სამი საფეხური ექნება: ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ე.წ. "სრული" პროფესორი, ანუ უბრალოდ, პროფესორი.

ბოლონიის პროცესთან მიერთება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგია. დეკლარაცია, რომელსაც საქართველომ მოაწერა ხელი, ითვალისწინებს, რომ უნივერსიტეტის დიდი ქარტიის წევრებმა, გარკვეულწილად, თვალყური ადევნონ და შეამოწმონ აქაური სწავლებისა და პროფესურის ხარისხი.

გაერთიანება და ფაკულტეტების გაზრდილი უფლებები

რაც შეეხება თსუ-ში ფაკულტეტების გაერთიანებას, რომელმაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორც რექტორატში აცხადებენ, მათი რაოდენობის შემცირება არამც და არამც თვითმიზანი არ ყოფილა. ამ გაერთიანება-გამსხვილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტისათვის უფრო იოლი იყოს (თუნდაც ბიუროკრატიული თვალსაზრისით) ძირითად და არჩევით საგნებში საგანმანათლებლო კურსის მოსმენა, არ დასჭირდეს მას განცხადებების დაწერა ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე დროებით გადაადგილებისათვის.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებს ფართო უფლებები ენიჭებათ. რექტორატის ფუნქცია განისაზღვრება იმით, რომ იგი იქნება ფაკულტეტების მიერ "დაქირავებული" სამსახური, რომელიც მათვე დაეხმარება იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც ფაკულტეტების უფლებებს აღემატება, სამეურნეო ნაწილის უზრუნველყოფა, საგარეო ურთიერთობების დამყარებაში ხელშეწყობა, უსაფრთხოების დაცვა და სხვ. საგანმანათლებლო საკითხებს კი უშუალოდ ფაკულტეტები გადაწყვეტენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი , ბოლონიის დეკლარაციის ფარგლებში, ფაკულტეტებს მიაწვდის სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც ისინი თავად განსაზღვრავენ სასწავლო პროგრამებს, პროფესორთა დატვირთვასა და მათ ანაზღაურებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რეფორმის ფარგლებში, ახალი სასწავლო წლიდან საბარათო სისტემა დაინერგება და ნაღდი ფული აღარ იტრიალებს, რადგან სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, უნივერსიტეტის მთელ მომსახურე პერსონალს ექნებათ პლასტიკური ბარათები და ხელფასებსა და სტიპენდიებს ბანკში აიღებენ. ახალი სასწავლო წლიდან მაგნიტურ ბარათების სისტემა აღრიცხავს უნივერსიტეტში შემოსული ან შენობიდან გასული პირთა ვინაობას და შესვლა-გასვლის დროს. ეს დასწრების გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

ბოლონიის პროცესი იმასაც ითვალისწინებს, რომ სწავლის და კვლევის პროცესი შერწყმული იყოს და სტუდენტი პირველივე კურსიდან იყოს ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა. რადგანაც როცა კურსდამთავრებული მუშაობას დაიწყებს, თავიდან არ გახდეს საჭირო სპეციალისტის სწავლება.

კონკურსი კორუფციის დასაძლევად

რეფორმა უმტკივნეულო არასოდეს ყოფილა და ასეთი ვერც საუნივერსიტეტო რეფორმა იქნება. თუმცა, როდესაც შედეგი თვალსაჩინო გახდება, შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულებაც. მოვა დრო - ძალიან მალე, როცა მშობელი ფულს იმაში აღარ გადაიხდის, რომ შვილმა ცოდნის ნაცვლად მხოლოდ დიპლომი მიიღოს. ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის შემოღებით საზოგადოებას რეალური იმედი გაუჩნდა.

სწორედ ამ მიზნით ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსიც. მაღალი ხელფასი და სტუდენტთა მიერ მათი სარეიტინგო შეფასება კორუფციას გარკვეულწილად შეებრძოლება.

ახალი სასწავლო წლისათვის ერთიანებში გამოცდებში გასულ აბიტურიენტებს, უფრო სწორად, უკვე სტუდენტ-პირველკურსელებს და მათთან ერთად, ცხადია, იმ სტუდენტებსაც, რომლებიც უკვე სწავლობდნენ, უნივერსიტეტი ახალი წესით შერჩეულ აკადემიურ კადრებს ახვედრებს: **კონკურსი უკვე დაიწყო ორ - იურიდიულსა და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. პირველი შედეგები 20 აგვისტოს გამოცხადდება, შემდეგი, ალბათ, ეკონომიკური ფაკულტეტი იქნება, მას სხვებიც მიჰყვებიან და საკონკურსო წესით აკადემიური თანამდებობების დაკავება უნივერსიტეტში 2006 წლის ივნისისათვის დასრულდება. გამოთავისუფლებულ აკადემიურ თანამდებობაზე კადრები შემდეგშიც მხოლოდ საკონკურსო წესით დაინიშნება.**

■ ■ ■

ივანე ჯავახიშვილი, თანამოაზრეებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის რომ იღვწოდა, მიზნად ისეთი საგანმანათლებლო კერის შექნა ჰქონდა, რომელიც ევროპული დონის უნივერსიტეტებს გაუტოლდებოდა და ევროპული დონის სპეციალისტებს მოამზადებდა. ამიტომაც ქართული უნივერსიტეტის პირველ რექტორად ევროპასა და რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი მოიწვია და მას დაუთმო პირველობის საპატიო გვირგვინი.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო - რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ იმედიანი განახლების ხანა-თბილისის უნივერსიტეტი იქცეს ისეთად, როგორზეც მისი დამაარსებელი დიდი ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ ოცნებობდა.

კორუფცია გაერო-ში

რუსი თანამშრომელი - დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის პირველი მსხვერპლი

პირველი გვერდიდან

დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 10 მლრდ აშშ დოლარის დატაცების ფაქტს იძიებს. მისი ახალი შუალედური მოხსენება გაერო-ში არსებული კორუფციის კიდევ რამდენიმე ფაქტს ააშკარავებს და კორუფციაში სულ უფრო მეტ ეჭვმიტანილს ამხელს.

ბენონ სევანი "აფრთხილებს" გაერო-ს გენერალურ-მდივანს, რომ "ორგანიზაციის კრიტიკოსები რიტუალური მსხვერპლშეწირვით არ დაკმაყოფილდებიან.

ალექსანდრ იაკოვლევი ორშაბათს ნიუ იორკის გარეუბანში საკუთარ სახლში დააპატიმრეს, მაშინვე, რაც გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აშშ-ს გენერალური პროკურატურის თხოვნით მას დიპლომატიური იმუნიტეტი მოუხსნა.

ორშაბათს დილით, გაერო-ს შტაბ-ბინაში პოლ ვოკერის დამოუკიდებელმა საგამოძიებო კომისიამ "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" პროგრამაზე პრესკონფერენცია გამართა, სადაც კიდევ ერთი შუალედური მოხსენება წარმოადგინა.

ვოკერის თქმით, იმის შესახებ, რომ გაერო-ს აპარატის ზოგიერთი თანამშრომელი კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობდა, მათთვის უკვე თებერვალში იყო ცნობილი. მაისში კი - კომისიამ დაადგინა ამ პირების ვინაობა.

ორი თვის წინ ტელეკომპანია "ფოქს ნიუს"-ის ეთერში გავიდა ჟურნალისტური გამოძიების მასალები ამ საქმესთან დაკავშირებით, სადაც პირველად გაიჟღერა ალექსანდრ იაკოვლევის სახელმა. გადაცემის გასვლისთანავე იაკოვლევმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. რუსი დიპლომატის "თხოვნა" დაუყოვნებლივ დაკმაყოფილეს, ხოლო მისი სამუშაო კაბინეტი დალუქეს.

ალექსანდრ იაკოვლევი რუსეთის მოქალაქეა. გაერო-ს აპარატში იგი შესყიდვების განყოფილებაში მუშაობდა. როგორც ვოლკერის კომისიის დასკვნიდან ირკვევა, იაკოვლევი ქრთამის გამოძალვას ცდილობდა შვეიცარიული კომპანია Societe Generale de Surveillance-გან, სანაცვლოდ "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" პროგრამის ფარგლებში სარფიანი კონტრაქტის გაფორმებაში დახმარებას სთავაზობდა.

მართალია, საგამოძიებო კომისიამ ვერ აღმოაჩინა სამხილები, რომ კომპანია დათანხმდა იაკოვლევის წინადადებაზე, მაგრამ რუსი დიპლომატის ერთ-ერთმა თანამზრახველმა დაადასტურა გამოძალვის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ კომისიის თქმით, 1993-2005 წ.წ. იაკოვლევმა სხვადასხვა კონტრაქტების გაფორმებაში დახმარების საფასურად თითქმის 1 მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამი აიღო. ვოლკერის ჯგუფმა ასევე აღმოაჩინა საიდუმლო ანგარიში ოფშორულ ზონაში იაკოვლევის ცოლის სახელზე, რომელზეც 1,3 მლნ დოლარი იყო.

ამ ეპიზოდების გარდა, იაკოვლევს ბრალად ედება გაერო-ს ერთ-ერთ კონტრაქტორ ფირმაში შვილის სამსახურში მოწყობა - ბუნებრივია, სანაცვლო დახმარების საფასურად.

საგამოძიებო კომისიის თვალთახედვის არეში მოხვედრის შემდეგ იაკოვლევმა სცადა თავის დაძვრენა და ზოგიერთი კოლეგის წინააღმდეგ ჩვენებაც მისცა. თუმცა, "თანამშრომლობამ" თავად რუსი დიპლომატი ბრალის წაყენებისგან ვერ იხსნა.

სამხილების წარდგენისთანავე კოფი ანანმა უსიტყვოდ მოუხსნა იაკოვლევს იმუნიტეტი და ორშაბათს დილით იგი დააკავეს. დაპატიმრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ იაკოვლევმა ადვოკატის რჩევით აღიარა თავისი დანაშაული ბრალდების ყველა ეპიზოდში.

რუს დიპლომატს 60 წლამდე პატიმრობა ემუქრება. თუმცა, არის შანსი, რომ რუსეთის მოქალაქემ საპროცესო გარიგების შედეგად მნიშვნელოვნად შეიმსუბუქოს სასჯელი.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ რუსი დიპლომატი ცდილობს, აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ალბათ, ამის გამო იყო, რომ დაკავებიდან რამდენიმე საათში იგი 400 ათასი დოლარი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

განსხვავებული სიტუაციაა დამოუკიდებელი კომისიის მიერ კორუფციაში დადანაშაულებული გაეროს პროგრამის "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" ყოფილი ხელმძღვანელის ბენონ სევანის შემთხვევაში. ვოლკერის გამოძიებამ დაადგინა, რომ სევანმა ქრთამის სახით 150 ათას დოლარამდე აიღო. გარდა ამისა, გარკვეული ეჭვი არსებობს სევანის მიერ ვითომდა დეიდისგან დატოვებული მემკვიდრეობის წარმომავლობის თაობაზეც.

"ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" პროგრამის ყოფილი ხელმძღვანელი კატეგორიულ უარს აცხადებს საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობაზე. იგი დიდი ხანია, უვადო შვებულებაში იმყოფება და გაერო-ში მხოლოდ სიმბოლურ ხელფასს - წელიწადში ერთ დოლარს იღებდა. ეს ხელფასი მას იმუნიტეტის უფლებით უზრუნველყოფდა.

კვირას სევანმა წერილი გაუგზავნა გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს. ამ წერილში იგი, მართალია, უფლებამოსილებათა მოხსნას ითხოვს, მაგრამ იქვე "აფრთხილებს" ანანს, რომ "რიტუალური მსხვერპლშეწირვა" არ დააკმაყოფილებს ორგანიზაციის კრიტიკოსებს.

იაკოვლევის მსგავსად, ნიუ იორკის პროკურორის თხოვნის საფუძველზე კოფი ანანმა სევანსაც მოუხსნა იმუნიტეტი. თუმცა, კვიპროსელი დიპლომატის დაკავება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ოფიციალური ცნობით, მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ იგი კვიპროსში საკუთარ სახლში იმყოფება.

სევანის საქმის გამოძიებისას ვოლკერის კომისიამ კიდევ ერთი საინტერესო "აღმოჩენა" გააკეთა. საქმეში გამოიკვეთა African Middle East Petroleum-ი, აფრიკული კომპანია, რომელსაც გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივნის, ბუტროს-ბუტროს გალის ნათესავები (ბუტროს გალის ცოლისძმა და ბიძაშვილი) ხელმძღვანელობენ. კომისიის წარმომადგენლები ესაუბრნენ ბუტროს გალის, თუმცა მისთვის, ჯერჯერობით, არანაირი ბრალი არ წაუყენებიათ.

აღსანიშნავია, რომ იაკოვლევი რუსეთის პირველი მოქალაქეა, რომელსაც ვოლკერის კომისიამ ბრალი დასდო. ამ ჯგუფისგან განსხვავებით, აშშ-ს სენატში ანალოგიურ საქმეზე მომუშავე კომისიას გაცილებით მეტი რუსი ეჭვმიტანილი ჰყავს. მათ შორის არიან როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი პოლიტიკოსები (სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილე ალექსანდრ ვოლოშინი). გარდა ამისა, სენატის კომისიის მასალებში ნათქვამია, რომ ერაყის ნავთობზე შეღავათიანი კვოტების 30 პროცენტი მიღებული აქვთ სხვადასხვა რუსულ პარტიასა და ორგანიზაციას - მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თვით რუსულ მართლამადიდებელ ეკლესიას.

ნიკა თარაშვილი

უცხოეთი

ევროპა. პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მარეკ ბელკამ დამოუკიდებელი ბელორუსული რადიოსადგურის შესაქმნელად 950 ათასი პოლონური ზლოტი (დაახლოებით 290 ათასი აშშ დოლარი) გამოყო. ამის შესახებ პოლონეთის მთავრობის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა კატაჟინა ტურსკამ აცნობა ჟურნალისტებს. ადრე პოლონეთის ტერიტორიიდან დამოუკიდებელი ბელორუსული რადიოსადგური "რადიო რაცია" მაუწყებლობდა, რომელიც, დაუფინანსებლობის გამო, დაიხურა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

აშშ. ესპანური გაზეთის "მუნდო"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცნობილმა ესპანელმა არქიტექტორმა სანტიაგო კალატრავამ აშშ-საგან შეკვეთა მიიღო ყველაზე მაღალი ცათამბჯენის აგებაზე.

ახალი ცათამბჯენი, სახელად "ფორდჯემ სფაიერი" ჩიკაგოში, მიჩიგანის ტბის ნაპირზე აიგება. გეგმის თანახმად, შენობაში განთავსდება სასტუმრო, 250 მდიდრული აპარტამენტით. გიგანტური ბურღის ფორმის ცათამბჯენის სიმაღლე 610 მეტრი იქნება. სამშენებლო ბიუჯეტი, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 500 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრება. ამ შენობაზე მაღალი, "მუნდო"-ს თანახმად, მსოფლიოში მხოლოდ დუბაის ცათამბჯენი იქნება, რომლის სიმაღლე დასრულების შემდეგ 701 მ იქნება.

რაც შეეხება უშუალოდ ესპანელი არქიტექტორის საქმიანობას, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს მისი მთავარი სამუშაო ადგილი უკვე აშშ-ია. იგი ამჟამად ნიუ იორკში ცხოვრობს. გასულ წელს "თაიმ"-მა კალატრავა მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში შეიტანა.

2005 წლის თებერვალში ესპანელი არქიტექტორი ამერიკელ არქიტექტორთა ინსტიტუტის მიერ ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

სანტიაგო კალატრავა არის ერთ-ერთი თანაავტორი ათენის ოლიმპიური კომპლექსისა. ცოტა ხნის წინ მან გაიმარჯვა მანჰეტენის "ნულოვანი ზონის" (სადაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის დროს განადგურებული სავაჭრო ცენტრი იყო აღმართული) საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებით მოწყობილ კონკურსში.

დაბოლოს, მიმდინარე წლის ოქტომბერში ნიუ იორკის ხელოვნების მუზეუმში დაგეგმილია გამოფენის მოწყობა, რომელიც კალატრავას, როგორც არქიტექტორისა და მოქანდაკის, შემოქმედებას მიეძღვნება. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

ეკონომიკა. ნედლი ნავთობის ფასმა ახალ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდეს, სინგაპურის სასაქონლო ბირჟაზე დღეს ვაჭრობის დაწყებისას ერთი ბარელი ნავთობი 64 დოლარი და 27 ცენტი ღირდა.

"შავი ოქროს" ფასმა 64 აშშ დოლარის ნიშნულს გადააჭარბა ნიუ-იორკის ბირჟაზეც. ანალიტიკოსები ნავთობის გაძვირების რამდენიმე მიზეზს ასახელებენ. მათ შორისაა ნავთობის მთავარ ექსპორტიორ ქვეყანაში - საუდის არაბეთში ტერაქტების საფრთხე, რის გამოც აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა იქ დიპლომატიური მისიების მუშაობა შეაჩერეს; წითელ ზღვაში დისლოცირებული ამერიკული და ბრიტანული ხომალდების ეკიპაჟები კი საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. გარდა ამისა, მეორე მიზეზად, ექსპერტები ბირთვული პროგრამის განახლების შემდეგ ირანის ეკონომიკური ბლოკადის პერსპექტივასა და აშშ-ში შვიდი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს დახურვასაც ასახელებენ. **24 საათი**

■ ■ ■

იაპონია. იაპონიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ თარიღთან, 1945 წელს ნაგასაკიში "B-29" ტიპის ამერიკული ავიაგამანადგურებლის მიერ მეორე ატომური ბომბის ჩამოგდებასთან დაკავშირებით (პირველი ბომბი ისევ იაპონიაში, ოღონდ ჰიროსიმაში ამერიკელებმა სამი დღით ადრე, 1945 წლის 6 აგვისტოს ჩამოაგდეს, რასაც 66 000 იაპონელის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 70 000-ზე მეტი დაშავდა) ტრადიციული ღონისძიება გაიმართა ქალაქის ცენტრალურ პარკში. ბომბის ჩამოგდებას ნაგასაკიში 40 000 კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 25 000-ზე მეტს სერიოზულად შეერყა ჯანმრთელობა. ამათგან რამდენიმე ათასი კაცი ჯერ კიდევ ცოცხალია და დღემდე იღებენ ფულად კომპენსაციასა და სარგებლობენ უფასო სამედიცინო დახმარებით. ნაგასაკიზე ატომური თავდასხმის განხორციელების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოსვლაში - "სამშვიდობო დეკლარაციაში" ქალაქის მერმა იტე იტომ მოუწოდა იაპონიის ხელისუფლებას, უარი თქვას აშშ-ს "ბირთვულ ქოლგაზე".

"ჩვენ კარგად გვესმის ამერიკელ მოქალაქეთა მწუხარების, როდესაც ისინი 2001 წლის 11 სექტემბერს დაღუპულ თანამემამულეებს იხსენებენ, თუმცა მეეჭვება, რომ მათ უსაფრთხოების შეგრძნებას უძლიერებდეს ის ფაქტი, რომ აშშ-ს ხელისუფლება ფლობს დიდი რაოდენობით ბირთვულ იარაღს. გარდა ამისა, აშშ-ში მუდმივად მიმდინარეობს ბირთვული იარაღის გამოცდა და ახალ, "მინიატურული" ტიპის იარაღზე მუშაობა," - აღნიშნა ასევე ნაგასაკის მერმა.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ტრაგიკული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ნაგასაკის მშვიდობის პარკში, სადაც ზემოაღნიშნული განცხადება გააკეთა იტე ოტომ, იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძიუნიშირო კოიძუმიც ესწრებოდა. **რიანოვოსტი**

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

მთავარია წარსულის კონფრონტაციული მენტალიტეტის მოცილება

პირველი გვერდიდან

ზაზა ფარეულიშვილი

- ბატონო ირაკლი, თქვენ მოხსენებით გამოხვედით გაეროს უშიშროების საბჭოზე. რომელ საკითხებზე გაამახვილეთ ყურადღება?

- რეზოლუციის მიღებამდე, გაეროს უშიშროების საბჭოს მოსმენა ჰქონდა ახაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. პირველი მოხსენება გააკეთა გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ, შემდეგ გამოვედი მე. ჩემი მოხსენება დაახლოებით ათწუთიანი იყო. საუბარი დავიწყე იმ ახალი რეალიების შესახებ, რაც კონფლიქტის დარეგულირების დაჩქარების საშუალებას იძლევა. შევეხე ცვლილებებს და ქართულ-რუსული ურთიერთობის დადებით მომენტებს, რაც რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დაწყებაში აისახა.

ამავე დროს, ვისაუბრე იმ პრობლემებზეც, რომელთა გამოც სამშვიდობო მოლაპარაკებებს ხელი ეშლება. პირველ რიგში, ეს არის დაბრუნებული ქართველი დევნილების უფლებების დარღვევა აფხაზური ადმინისტრაციის მხრიდან. მოვიყვანე აფხაზური ხელისუფლების ლიდერების გამონათქვამები ქართველთა დატოვებული ქონების უკანონო გასხვისების თაობაზე. აღვნიშნე სამარცხვინო ფაქტი, რომ აფხაზებმა ქართველთა 15-კაციანი ჯგუფი დააკავეს და ციხეში ჩასვეს სასაცილო - საზღვრის დარღვევის ბრალდებით.

ყურადღება გავამახვილე აფხაზეთში რუსული საკადრო ექსპანსიის ფაქტზე, როცა რუსეთის თავდაცვის, უშიშროებისა და სხვა სპეციალსახურების წარმომადგენლები აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან. ამასთან დაკავშირებით, რუსულ მხარეს მოვუწოდე, სასწრაფოდ აღკვეთოს ამგვარი ფაქტები, თუ მას მართლა სურს პარტნიორობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. მოხსენების იმავე ნაწილში ვისაუბრე ხელოვნური პასპორტიზაციის პროცესის შესახებ, რომელიც რამდენიმე წელია რუსეთის მხრიდან იმართება და პირდაპირ ვთქვი, რომ ეს სამშვიდობოების ობიექტურობას, პრაქტიკულად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ბოლოს, ყოველგვარი მორიდების გარეშე განვაცხადე, რომ სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობა გაეროს ფორმატით ისე, როგორც დღეს არის და რომლის ერთგულია ქართული მხარე, ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია. მაგალითად, აფხაზურ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ჩვენთან შეხვედრაზე, რისი მაგალითიც სულ ახლახანაც გვქონდა. ამის გამო, მოვუწოდე უშიშროების საბჭოს წევრებს, მეგობართა ჯგუფს და გაეროს გენმდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში, უფრო მტკიცედ, აქტიურად და თანამიმდევრულად დაიცვან ქართული მხარის ინიციატივა.

მათ შორისაა, მაგალითად, ქართულ-აფხაზური დეკლარაციის პროექტი, სადაც გათვალისწინებულია აფხაზური მხარის ინტერესები და საუბარია ცეცხლის განუახლებლობაზე. ამავე დროს, გათვალისწინებულია ჩვენი პრიორიტეტებიც დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების შესახებ. ასეთი დაბალანსირებული დოკუმენტია, თუმცა მისი შექმნა ჯერ კიდევ სამუშაო პროცესშია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აფხაზურმა მხარემ ეს დეკლარაცია სამუშაო ბაზად მიიღო და თავისი წინადადებებიც მოგვაწოდა. ახლა ჩვენ ვამუშავებთ ამ წინადადებებს და მომავალ შეხვედრაზე, სოხუმში, მოხდება პოზიციების შეჯერება.



ირაკლი ალასანია

ზაზა ფარეულიშვილის ფოტო

- გათვალისწინებული იყო თუ არა მოხსენებაში აფხაზური მხარის ინტერესები?

- ცხადია, გათვალისწინებული იყო. უშიშროების საბჭოზე მეორედ გამოვედი და კიდევ ერთხელ მკაფიოდ განვაცხადე, რომ ქართული მხარე ყოველმხრივ ცდილობს გადადგას ისეთი ნაბიჯები, რაც აფხაზურ საზოგადოებას იზოლაციიდან გამოიყვანს. იგულისხმება ჩვენი სურვილი, რომ აფხაზურ საზოგადოებას მეტი შეხება ჰქონდეს დასავლეთთან, მეტი შანსი მიეცეს განვითარებისთვის, უსაფრთხოებისთვის. ჩვენი მიზანია, აფხაზურ საზოგადოებას გაეხსნას გზა ევროპისაკენ და პირიქით, დასავლური დემოკრატიის პრინციპებმა მაქსიმალურად შეაღწიონ აფხაზეთში. ეს იქნება ყველაზე მოკლე და ეფექტური გზა, რათა აფხაზებმა ერთხელ და სამუდამოდ დაიჯერონ, რომ ქართველებთან ერთად ერთიან ტერიტორიულ სივრცეში მათი ეროვნული თვითმყოფადობის, უსაფრთხოებისა და უფლებების მაქსიმალური დაცვა შესაძლებელია.

ამ წლების მანძილზე აფხაზებს ტვინს ურეცხავდნენ იმით, რომ საქართველო და დემოკრატია მათი მტერია. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა - მხოლოდ დემოკრატიულ გარემოში შეიძლება აფხაზების ეროვნულობისა და უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. ამიტომ, აფხაზებისთვის დასავლეთისკენ გზის გახსნა ქართული სახელმწიფოებრიობის ინტერესებშიც შედის.

ოპონენტები აცხადებენ, რომ რაც უფრო დავაახლოებთ აფხაზებს დასავლეთთან, მათ დამოუკიდებლობის მით უფრო ძლიერი ილუზია გაუჩნდებათო. ეს არასწორი მიდგომაა. საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დღეს ვერავინ შეეხება და ეს არის საერთაშორისო სამართლის ურღვევი პრინციპი. ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება, თუ აფხაზური მხარე ამ ჭეშმარიტებაში საკუთრივ დარწმუნდება. დარწმუნდება იმაში, რომ დასავლეთი, დემოკრატია და საქართველო არ შეიძლება მტრად მიიჩნიოს.

სწორედ ამ კუთხით გავაგრძელებთ მუშაობას აფხაზურ მხარესთან.

ფორმალურ მოლაპარაკებებში ვიქნებით ძალიან დამთმობი, ოღონდ არა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების ხარჯზე. აქ საუბარია ინტერესების შეთავსებაზე, და მერწმუნეთ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ინტერესები სულაც არ არის შეუთავსებადი. რაც მეტი შეხება მაქვს აფხაზურ მხარესთან, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ძალიან ბევრი საერთო გვაქვს. მთავარია, წარსულის კონფრონტაციული მენტალიტეტი ორივე მხარემ მოვიცილოთ.

- შამბა თბილისიდან კმაყოფილი წავიდა, ჰქონდა თუ არა მას თქვენთან შეხვედრა?

- მე მქონდა მასთან არაფორმალური შეხვედრა. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. მართლაც ჩამოგვიყალიბდა პატივისცემისა და ურთიერთნდობის ატმოსფერო, რაც აუცილებელი პირობაა შედეგიანი მოლაპარაკებისათვის. მე ვაპირებ, ეს დიალოგი სოხუმის შეხვედრაზე უფრო გავაღრმაო.

ოფიციალურად არ დავესწარი თბილისის მოლაპარაკებებს (თუმცა, იქ განიხილებოდა ჩვენს მიერ მომზადებული დოკუმენტი), რათა არ გამომეწვია გარკვეული უხერხულება აფხაზური მხარისთვის, რომლის წარმომადგენლებს, ამის გამო, შეიძლება შიდა პოლიტიკური პრობლემები შექმნოდათ.

- ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ შამბას წასვლიდან მეორე დღეს ბაგაფშმა ერთ-ერთ რუსულ საიტზე ინტერვიუში სრულიად არალოგიკური განცხადება გააკეთა, დღეს საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, ცნოს აფხაზეთის დამოუკიდებლობაო. რატომ გააკეთა ეს, როცა მსგავსი განცხადებების შემდეგ მხარეებს შორის ურთიერთობების დაძაბვა სავსებით შესაძლებელია?

- ქართულ საზოგადოებას მოვუწოდებ, აფხაზური მხარის ლიდერების მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებენ. გაეროს უშიშროების საბჭოზეც განვაცხადე, რომ რუსულ მხარეს აფხაზეთში ცხოვრების ყველა სფეროზე ტოტალური კონტროლი აქვს დაწესებული. ჩემი აზრით, ასეთი განცხადებები გამიზნულია არა ჩვენთვის, არამედ რუსული აუდიტორიისთვის, რომლის წინაშეც ერთგულების დადასტურებას ცდილობენ აფხაზური მხარის ლიდერები.

როგორც არაფორმალური შეხვედრების დროს გამოჩნდა, აფხაზური მხარე უკვე სხვანაირად ფიქრობს, თუმცა ასეთ განცხადებებს არაერთი ბარიერის აღმართვა შეუძლია.

რუსეთში არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობენ ვითარების დაძაბვას ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა კარგი ურთიერთობების პერსპექტივა ისახება. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ საჯარო განცხადებებში აფხაზური მხარე თავისუფალი არ არის.

- როგორია თქვენი პოზიცია აფხაზეთში რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით?

- პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ქართულ მხარეს რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. დავთანხმდით ინფრასტრუქტურის წინასწარ შესწავლას აფხაზურ მხარესთან ერთად. ბუნებრივია, ამ პროცესში რუსული მხარეც მონაწილეობს. ამას გარკვეული დრო დასჭირდება და თუკი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბები უკვე გვეცოდინება.

რაც შეეხება მიზანშეწონილობას. ჩემი აზრით, რაც უფრო მეტი ხიდი იქნება ჩვენსა და აფხაზებს შორის, რაც მეტი ურთიერთობა იქნება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მეტი შანსია, სწრაფად მოხდეს ომით გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანება.

ცხადია, რკინიგზის მომსახურების ორგანიზაციული საკითხები ქართველებსა და აფხაზებს შორის სერიოზული განხილვის საგანი იქნება. მაგრამ არსებობს ისეთი პრინციპული საკითხი, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება. მაგალითად, საქართველოს სუვერენული საზღვარი, რისი გადახედვა და მოლაპარაკების საგნად გადაქცევა წარმოუდგენელია. რაც შეეხება საბაჟო მოსაკრებლებს, ეს მოლაპარაკების საგანია.

ცხადია, მოლაპარაკებები იქნება რთული, მაგრამ თუკი აფხაზური მხარე მზადაა კომპრომისისთვის, შეთანხმება მოხდება.

რაც შეეხება დევნილებს. ჩვენი მოთხოვნაა, რკინიგზის შესწავლისა და აღდგენის პირველ ეტაპზე თავიდანვე ჩაერთონ რკინიგზელი დევნილები, რომლებიც ამ რკინიგზას ომამდეც ემსახურებოდნენ. ასეთი ხალხი შევიყვანეთ ექსპერტთა ჯგუფში, რომელიც აფხაზურ მხარესთან ერთობლივად იმუშავებს.

ყველას გასაგონად ვამბობ, რომ ქვეყნის გარედან თავსმოხვეული პირობებით ეს რკინიგზა არ გაიხსნება. ხოლო თუ კომპრომისი გამოინახება და შეთანხმება მოხდება, ეს ორივე მხარისთვის ძალიან კარგი იქნება.

- მალე ქართულ-აფხაზური შეხვედრა სოხუმში უნდა გაიმართოს. თქვენ არ მონაწილეობდით თბილისის შეხვედრაზე, მაგრამ სოხუმში წასვლას აპირებთ. რა სტატუსით?

- ბუნებრივია, აფხაზურ მხარესთან დიალოგში ვგრძნობ, რომ მათ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელთან ოფიციალური საუბარი ძალიან უჭირთ. ამიტომ, მოლაპარაკების პროცესისთვის ობსტრუქცია რომ არ მოგვეწყო, მზად ვარ, მოლაპარაკებებში მონაწილეობა მივიღო, როგორც საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა. ჩემთვის მთავარია შედეგი.

გურამ ოდიშარიას სვეტი

ვაშლის მიღების სამი წესი

კონობეევო - მოსკოვის სიახლოვეს მდებარე სოფელი. 1999 წლის აგვისტო. საღამო. აფხაზ პარტნიორებთან ერთად პანსიონატის ეზოში ვსხედვართ და ვსაუბრობთ. ვიგონებ ერთი მეცნიერის (მისი სახელი და გვარი არ მახსენდება) ვაშლის მიღების სამ წესს:

I წესი: თქვენ შეგიძლიათ თავი მოუყაროთ ყველა იმ ვიტამინსა და მინერალს, რომლისგანაც ვაშლი შედგება. ნებისმიერი მკვლევარი, რომელიც ასეთი "ვაშლის" შემადგენლობას შეისწავლის, ვერ იტყვის, რომ ის არ არის ვაშლი. სხვათა შორის, ასეთი წესით მიღებული "ვაშლი", როგორც ფაფა, კოვზით მიირთმევა.

II წესი: თქვენ შეგიძლიათ, სანთლის ან პლასტმასისაგან "გამოაქანდაკოთ" ვაშლი, ოსტატურად შეღებოთ მისი ზედაპირი. ვინც ასეთ "ვაშლს" ნახავს, რა თქმა უნდა, ვერც ის უარყოფს, რომ ის არ არის ვაშლი. სკოლაში სწავლის პერიოდში, კარგად მახსოვს, რომ ბოტანიკის კაბინეტში რამდენიმე ასეთი "ვაშლი" გვქონდა, თანაც, სხვადასხვა ჯიშის.

III წესი: თქვენ შეგიძლიათ, იშოვოთ ან იყიდოთ ვაშლის ნერგი, დარგოთ თქვენს ეზოში, დროულად დაუსხათ წყალი და არ მოაკლოთ მზრუნველობა. დროთა განმავლობაში, ნერგი გაიზრდება, ვაშლის ხედ იქცევა, აყვავილდება, ნაყოფს მოისხამს და თქვენ ნამდვილ ვაშლს მიიღებთ.

მესამე წესი ვაშლის მიღების ბუნებრივი წესია. საბედნიეროდ, კარგად ვიცნობ ისეთ კონფლიქტოლოგებსაც, რომლებიც ამ III წესის მიმდევრები არიან. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ I და II წესის აღმასრულებლებსაც ვიცნობ - პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, სოციოლოგებს, კონფლიქტოლოგებს...

თქვენ, ალბათ, გინახავთ სანთლის ვაშლები, რომლებსაც კბილების კვალი ამჩნევია. ეს მოტყუებული ადამიანების კბილების კვალია და თქვენ, რა თქმა უნდა, გინახავთ ის ადამიანებიც, რომლებიც I და II წესით შეაცდინეს - კონფლიქტს ვარეგულირებთო.

1999 წლის აგვისტო

სამი ბრმა და სპილო

2001 წლის თბილისი. კრწანისი. საქართველოს პრეზიდენტის აპარტამენტი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. ჩემი თანამემამულე, ერთ-ერთი ექსპერტი, სიტყვით გამოდის, დამაჯერებლად საუბრობს კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპებზე. მისი საუბრიდან ირკვევა - მან ისიც კი არ იცის, რომ აფხაზეთთან დამაკავშირებელი რკინიგზა არ ფუნქციონირებს; არც ის იცის, თუ სად მდებარეობს გუდაუთის რაიონი - გალის სიახლოვეს, რუსეთის საზღვართან თუ...

მახსენდება ინდური იგავი სამ ბრმაზე და სპილოზე.

მახსენდება და, როდესაც კონფერენციაზე ჩემი გამოსვლის ჯერი დგება, ამ იგავს ვყვები:

სამ დაბადებიდან ბრმა ადამიანს სპილოს შესახებ ბევრი რამ სმენოდათ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორი იყო. ერთ მშვენიერ დღეს, მათ მოითხოვეს, მოეყვანათ სპილო, რათა ხელის შეხებით მაინც შეეცნოთ იგი.

მათ თხოვნა შეუსრულეს. ერთმა სპილოს ფეხზე მოკიდა ხელი, მეორემ - ხორთუმზე, მესამემ - კუდზე.

შემდეგ, როდესაც ჰკითხეს, თუ რა შთაბეჭდილება დატოვა მათზე სპილომ, პირველმა, რომელიც ფეხზე შეეხო, თქვა - სპილო ბოძი ყოფილაო, მეორემ, რომელმაც ხორთუმზე მოკიდა ხელი, - სპილო მახრჩობელა გველი ყოფილაო, ხოლო მესამემ, რომელსაც კუდი ხვდა "წილად", განაცხადა - სპილო არც ბოძია და არც მახრჩობელა გველი, სპილო თოკიაო.

იგავს ვყვები და თან ვიმედოვნებ, რომ ის ექსპერტი მაინცადამაინც არ გამინაწყენდება.

2001 წლის დეკემბერი

პრესრელიზი

ვენის შეხვედრა

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიწვევით, 30 ივლის - 1 აგვისტოს ვენაში გაიმართა ქართულ-აფხაზური შეხვედრა, რომელზეც განიხილეს სამშვიდობო პროცესის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები. სამდღიანი შეხვედრა, რომლის თანაორგანიზატორი იყო "ბერჰოფის" ცენტრი, მიმდინარეობდა "შლაინინგის" ფორმატით, რაც მხარეების არაოფიციალურ

დიალოგს გულისხმობს.

აფხაზურ მხარეს წარმოადგენდნენ: სოკრატ ჯინჯოლია, ლეონიდ ლაკერბაია, სტანისლავ ლაკობა და ბათალ ტაბაღუა, ქართულ მხარეს - გიორგი ხაინდრავა, გია ვოლსკი და პაატა ზაქარეიშვილი. ყოველი მათგანი წარმოადგენდა საკუთარ პიროვნებას და არა რომელიმე ორგანიზაციას. ესეც "შლაინინგის" ფორმატის მოთხოვნაა. შეხვედრას უძღვებოდნენ კლიმ მაკარტნი, ჯონათან კოენი და რეიჩელ კლოტი.

შეხვედრა დააფინანსეს ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრომ და დიდი ბრიტანეთის კონფლიქტების აცილების გლობალურმა გაერთიანებამ.

ჯონათან კოენი,
"შერიგების რესურსების" კავკასიის პროგრამების დირექტორი

დისკუსია

ვისწავლოთ, ბატონებო, ლოდინი

"თქვენი აფხაზეთი" აგრძელებს დისკუსიას აფხაზეთის რკინიგზის თემაზე. დღეს გთავაზობთ გამოხმაურებას პაატა ზაქარეიშვილის ინტერვიუზე, რომელიც 27 ივლისის ნომერში დაიბეჭდა.

სანდრო ქსოვრელი
დათო თარხნიშვილი
საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი "აფხაზეთი"-ს წევრები

ბატონი პაატა იწყებს ფაქტის კონსტატაციით. აფხაზეთი გახდა რუსეთის სარკინიგზო ჩიხი. სწორედ რომ ჩიხი, რომელიც არავითარ რეალურ ღირებულებას არ წარმოადგენს. აფხაზეთის ფაქტობრივი ოკუპაციით რუსეთმა ჩიხად აქცია და მოიჭრა უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი, რომელიც ჩრდილოეთ ევროპას ირანთან და მთელს "დიდ" ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა. ეს მაგისტრალი დღეს რუსეთს ჰაერივით სჭირდება, ვინაიდან ეს ქვეყანა აშკარად კარგავს სამხრეთ კავკასიაში თავის ბოლო მოკავშირეს - სომხეთს, ხოლო მისი პერსპექტივები ჩრდილოეთ კავკასიაში სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. რუსეთისთვის ამ ბერკეტის გაჩუქება საბედისწერო შეცდომა იქნებოდა ლიტონი სიტყვებისა და ფუჭი დაპირებების სანაცვლოდ.

ბატონი პაატა მიიჩნევს, რომ თურმე შეგვძლებია, ამ რკინიგზის საშუალებით აფხაზეთი "ისევ ამიერკავკასიაში დავაბრუნოთ" და ჩვენ მხარეს მივაბათ. მაგრამ სინამდვილეში, და ეს ბატონ ზაქარეიშვილსაც კარგად ესმის, თავისთავად, რკინიგზა არანაირ კავშირში არ არის აფხაზეთის ამიერკავკასიაში დაბრუნებასთან. სოხუმიდან ქუთაისამდე ავტომანქანით ხომ სულ რამდენიმე საათის სავალია! დღეს არარსებული ეკონომიკური კავშირების რეალური მიზეზი არა გაუმართავი რკინიგზა, არამედ სოხუმის რუსულ ხიშტებზე და სპეცსამსახურებზე დაყრდნობილი აპარტეიდული რეჟიმის მიზანმიმართული პოლიტიკაა. ქართველებს აფხაზეთში გადასვლისთვის ტყვეობა ემუქრება, ხოლო აფხაზებს (ბავშვების ჩათვლით) ქართველებთან ურთიერთობისთვის - ერის მოღალატის წოდება, სპეცსამსახურებისაგან დევნა და "საყოველთაო ზიზღი".

ჩვენს შორის ნდობისა და ეკონომიკური კავშირების აღსადგენად საჭირო არის არა რკინიგზა, არამედ თანმიმდევრული, მიზანმიმართული, აქტიური და შემტევი ზომები სოხუმის რეჟიმის დემოკრატიზაციისათვის. რკინიგზა ამ პროცესის დაგვირგვინება უნდა იყოს და არა მისი დასაწყისი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის რუსეთზე ზეგავლენის, პრაქტიკულად, ერთადერთი არსებითი ბერკეტი, და როგორცა მას დავთმობთ, რუსეთს დაეკარგება ყოველგვარი მოტივაცია არსებული სტატუს-კვოს შესაცვლელად.

პაატასებური პროექტის ეკონომიკური დასაბუთება, სამწუხაროდ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მასში არ არის მოყვანილი არანაირი გათვლები, არ მოიხსენიება რაიმე ანალიზი ან მოდელირება და, ძირითადად, ის ეფუძნება თავად პაატას "ღრმა რწმენას".

მართლაც, რკინიგზის დაკარგვისას საქართველო უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. ამას დაემატა რუსეთის მიერ ქართველი მეღვინეების წინააღმდეგ შემოღებული სანქციები. მაგრამ ტყუილად არ უთქვამთ: ზოგი ჭირი მარგებელიაო. გაიზარდა ფოთისა და ბათუმის პორტების მნიშვნელობა როგორც ჩვენთვის, ასევე ჩვენი მეზობლებისთვის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის. შესაბამისად, გაიზარდა ჩვენი მნიშვნელობა ჩვენი მეზობლებისთვის. ამან უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, თუ გავითვალისწინებთ სომხური და აზერბაიჯანული მნიშვნელოვანი დიასპორების არსებობას საქართველოში. ძირითადი საექსპორტო ბაზრები და სავაჭრო პარტნიორები გახდნენ თურქეთი და ევროკავშირი. რკინიგზის ტვირთბრუნვა კი წელს, სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირის დროინდელ დონეს მიაღწევს. ფაქტობრივად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ერთიანი ეკონომიკური სივრცე ჩამოყალიბდა.

რუსეთთან მოჭრილმა კომუნიკაციებმა უბიძგა საქართველოს, განეხორციელებინა პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაცია ევროპასა და ამერიკაზე, ჩაბმულიყო რეგიონულ ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პროექტებში, უფრო აქტიურად გაეტარებინა სტრუქტურული რეფორმები, მათ შორის, NATO-ს სტანდარტებზე გადასვლა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების პერსპექტივით და, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად გაზარდა ამერიკის შეერთებულ შტატების გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე.

აფხაზეთზე სარკინიგზო მოძრაობის კვლავ გახსნის შედეგები გაცილებით უფრო რთულ ანალიზს მოითხოვს, განსაკუთრებით, რისკების ანალიზის თვალსაზრისით. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ **შემცირდება ქართული გავლენა სომხეთსა და აზერბაიჯანზე და ეკონომიკურად სამივე, შესაძლოა, ისევ რუსეთის ორბიტაში მოექცეს. არა მხოლოდ აფხაზეთი არ დაუბრუნდება კავკასიის ეკონომიკურ სივრცეს, არამედ სამეგრელოც ეკონომიკურად კრასნოდარის ოლქზე გახდება დამოკიდებული** და რუსეთი ყოველ ღონეს იხმარს ახალი სეპარატიზმის გასაღვივებლად. **მეწარმეებს დაეკარგებათ ახალი ბაზრების ძებნის სტიმული, ეს კი რუსეთს რეგიონში ეკონომიკური და სტრატეგიული დომინირების პირობებს შეუნარჩუნებს. საქართველოს პორტები, განსაკუთრებით - პირველ ეტაპზე, დაკარგავენ შემოსავლის მნიშვნელოვან წილს სოხუმის რეჟიმის, რუსი სამხედროების და, შესაძლოა, ნოვოროსიისკის პორტის სასარგებლოდ. გასათვალისწინებელია რუსეთ-სომხეთის ერთიანი სავაჭრო სივრცის ამოქმედება და, ამის შედეგად, სომხეთიდან კონტრაბანდის საფრთხე. სარკინიგზო კომუნიკაციები შესაძლებელს გახდის სომხეთში დღეს იზოლირებული რუსული სამხედრო დაჯგუფების მნიშვნელოვან გაძლიერებას, რაც უშუალო საფრთხეს შეუქმნის საქართველოს და შესასუსტებს სომხური პოლიტიკური ელიტის მოტივაციას ჯავახეთში კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის. რუსულ-ირანული საეჭვო ბირთვული გარიგებები ჩვენი დასავლური პარტნიორების სულ უფრო მზარდ გაღიზიანებას იწვევს** და აქაც აჯობებს, ასეთ საქმიანობაში გარევას საქართველომ როგორმე თავი აარიდოს.

ეს მხოლოდ მცირე ნუსხაა ყველა შესაძლო რისკებისა, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის მიერ გამოუცხადებელი ომის წარმოებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მიამიტობაა იმის ფიქრი, რომ რუსეთი რაღაცის სანაცვლოდ ამ ომს შეწყვეტს. პირიქით, მით უფრო გაამძაფრებს, რაც მეტ შესაძლებლობას შევუქმნით.

საკითხის ტექნიკური მხარე გაუგებარია, ხოლო რისკების თავიდან ასაცილებელი საკონტროლო მექანიზმები არასერიოზულად ჟღერს. ფსოუზე დამკვირვებლების უარყოფითი გამოცდილება საქართველომ უკვე შეიძინა 1993 წელს. ხომ არ მოხდება ისე, რომ ხვალ იგივე ექსპერტი გვეტყვის: ჩვენს დამკვირვებლებს ფსოუზე რუსეთი არაფრად აგდებს და, მოდით, რეალობიდან გამომდინარე, საბაჟო ენგურზე გავხსნათ, თორემ კონტრაბანდამ წაგვეკა აქაურობაო. ან როგორ იმგზავრებენ ქართველები მაგ მატარებლით? სატრანზიტო ვიზებით? თუ დალუქულ ვაგონებში ისე ჩაუქროლებენ სოხუმს, რომ ბაქანზეც ვერ გამოვლენ მოსანევად?

ან, რას ნიშნავს "მაშინ პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთს დაეკისრება და ჩვენ პოლიტიკურად მომგებიან პოზიციაში აღმოვჩნდებით?" შევახსენოთ მკითხველს: ამ ქვეყანამ არაერთგზის უხეშად დაარღვია დადებული ხელშეკრულებები, მათ შორის, 1993 წლის ზაფხულის ხელშეკრულება გაეროს მეთვალყურეების თვალწინ, მის მიერ დაქირავებულმა ბანდებმა განახორციელეს ქართველთა ეთნიკური წმენდები, დღეს კი თანმიმდევრულად ახორციელებს მის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას და არც სახელმწიფო ტერორიზმს თაკილობს. ამ პირობებში საეროდ გაუგებარია, კიდევ რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ "პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთს დაეკისროს და ჩვენ პოლიტიკურად მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდეთ?" ან, კიდევ რა რეალური შედეგები მოჰყვება ამ ჩვენს მიერ რუსეთზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას?

წინადადება იმის თაობაზე, რომ აფხაზები, რკინიგზის სანაცვლოდ, დევნილების დაბრუნებას არ თანხმდებიან და ამიტომ, მოდით, დაბრუნების გარეშე გავხსნათ რკინიგზაო, უცნაური და შეურაცხმყოფელია. ეს, ფაქტობრივად, მოწოდებაა უპირობო კაპიტულაციისაკენ.

დღეს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, დინამიზმი, მმართველობის ხარისხი ისეთია, როგორიც ბოლო ორასი წლის განმავლობაში არ გვქონია. რატომ ფიქრობს ბატონი პაატა, რომ სწორედ დღევანდელმა, წელში გამართულმა საქართველომ უნდა მოაწეროს ხელი იმ პირობებს, რაც თავის დროზე დაჩოქილმა (ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოთქმა) საქართველომ მიუღებლად ჩათვალა?

ისმის კითხვა: რას გვთავაზობთ კონფლიქტურ ზონებთან მიმართებაში? ვისწავლოთ, ბატონებო, ლოდინი. აფხაზეთსაც და ცხინვალსაც საქართველო აუცილებლად დაიბრუნებს, როგორც უკვე არაერთგზის ყოფილა ჩვენს ორიათასწლოვან ისტორიაში. დღეს აფხაზეთის რეინტეგრაცია შეუძლებლად გვეჩვენება, მაგრამ ასევე შეუძლებელი იყო გერმანიის გაერთიანება ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მსოფლიოში ბევრია გაყინული კონფლიქტი, მაგრამ ერებიც არ აპირებენ ფაქტობრივ ვითარებასთან შეგუებას და მის დაკანონებას. მოთმინებით ელიან, როდის მომწიფდება ხელსაყრელი პირობები მათი ეროვნული ინტერესების გასატარებლად.

გაყინული კონფლიქტები არ უშლის ხელს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. ეს კონფლიქტები უშლის თავად ოკუპანტებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს. ხოლო ქვეყანა, რომელიც რეალურად მონდომებულია, ტერიტორიების დასაბრუნებლად გახდეს მძლავრი და მდიდარი, გაცილებით უფრო სწრაფად გახდება მძლავრიც და მდიდარიც.

ვითარება კავკასიაში ყოველწლიურად იცვლება ჩვენს სასარგებლოდ. დღევანდელი სტატუს-კვოს ნებისმიერი ფორმით დაფიქსირება ჩვენთვის უკან გადადგმული ნაბიჯი და სტრატეგიული დამარცხებაც იქნებოდა.

გადარჩენილი ფოტოები

მენატრები

სოხუმი, 1986 წელი, მარცხნიდან მარჯვნივ 1988-1989 წლის გამოშვება: ილონა გვასალია, ოლეგ კაპიცა, ნანა დანელია, ნოდარ ჩიჩუა, სვეტლანა ლაკერბა, ალიკო გვარამია, მანანა ტყებუჩავა (აფხაზი, ტყვარჩელიდან)

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

კალათბურთი

ფაჩულია ატლანტელი "ქორია"

გიგა გურასაშვილი

გადაწყვეტილი ამბავია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე ქართველი ცენტრფორვარდი ზაზა ფაჩულია "ატლანტა ჰოუქსის" მოთამაშეა. ატლანტელ "ქორებთან" გაფორმებული ხელშეკრულება ოთხწლიანია. ამ ხნის განმავლობაში ატლანტელები საქართველოს ნაკრების ლიდერს 16 მილიონ დოლარს გადაუხდიან. ატლანტაში გადასვლამდე კი ფაჩულია "მილუოქი ბაქსის" ღირსებას იცავდა.

საგულისხმოა, რომ აწ უკვე ყოფილ კლუბს შეეძლო შეზღუდული თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე ქართველი ცენტრფორვარდის თავისთან დატოვება, თუკი, რა თქმა უნდა, "მილუოქი" ფაჩულიას ატლანტელთა დარ ხელშეკრულებას შესთავაზებდა, მაგრამ ფაქტია, "მილუოქი ბაქსმა" ქართველის დატოვება არ ისურვა. აქედან გამომდინარე, ფაჩულიამ ახალ კლუბთან გააფორმა ხელშეკრულება.

ქართველი ლეგიონერის სალიგო დებიუტი 2003/2004 წლების სეზონში "ორლანდო მეჯიქის" რიგებში შედგა. მერე "მილუოქი ბაქსის" მაისურაც მოირგო, რომლის რიგებშიც ფაჩულიამ გასულ სეზონში 74 მატჩში ითამაშა, მოედანზე კი საშუალოდ 18,9 წუთს ატარებდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველი ცენტრფორვარდი საშუალოდ 4,9 ქულას აგროვებდა და 4,2 მოხსნას ახერხებდა. ისიც ვთქვათ, რომ "ორლანდო მეჯიქმა" ფაჩულია 2003 წლის დრაფტის მეორე წრეში აიყვანა, ხოლო შარშან ზაფხულში მასზე უფლება ხვდა წილად "შარლოტ ბობქეთს", რომელმაც შემდგომში ქართველი მილუოქელებს მიჰყიდა, მანამდე კი... მანამდე იყო თურქეთის ჩემპიონატი და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ "ულქერში" 1999-2003 წლებში გატარებული ოთხი სეზონი. "ულქერში" გატარებული წლები იმადაცაა მნიშვნელოვანი, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართველი ლეგიონერი თურქეთის პრეზიდენტის თასს (2001 და 2002 წლებში) დაეუფლა, ხოლო 2001 წელს სულაც თურქეთის ჩემპიონობაში შეიტანა საკუთარი წვლილი.

ამასობაში გაირკვა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი სეზონის კალენდარიც.

1 ნოემბერს რეგულარულ ჩემპიონატს გახსნის განვლილი სეზონის ჩემპიონი "სან ანტონიო სფურზი", რომელიც შინ უმასპინძლებს "დენვერ ნაგითს". რაც შეეხება ფაჩულიას ახალ გუნდს, ატლანტელებს პირველი, ამასთან, გასვლითი თამაში 2 ნოემბერს "გოლდენ სთეით ვორიორზთან" უწევთ.

რეგულარული ჩემპიონატი, რომელშიც 30 გუნდი ასპარეზობს 19 აპრილს დასრულდება, რასაც მოჰყვება პლეიოფთა სერია, რომელშიც თავის მხრივ 16 საუკეთესო კლუბი იბრძოლებს ლიგის ჩემპიონის წოდებისთვის.



ახალ სეზონში ფაჩულია ატლანტელებისთვის ითამაშებს.

მოკლედ

ფერდინანდის "მანიუსთან" კონტრაქტმა სტვენის თანხლებით ჩაიარა

ირკვევა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი რიო ფერდინანდი გულშემატკივრებზე ყოფილა განაწყენებული. საქმე ისაა, რომ ინგლისურ კლუბთან ოთხწლიან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა "მანიუს" ფანების სტვენის თანხლებით მიმდინარეობდა. კლუბის გულშემატკივართა მხრიდან ფერდინანდის მისამართით სტვენის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ 26 წლის ფეხბურთელი კლუბთან კონტრაქტზე ხელის მოწერას აჯანჯლებდა და რომ გუნდის ხელმძღვანელობისგან კვირაში 120 ათას ფუნტ სტერლინგს (214 ათასი დოლარი) ითხოვდა.

ერთი სიტყვით, "მანიუს" ფანობას არ სურს ფერდინანდის გუნდში 2009 წლამდე დარჩენა.

"არასდროსაა სასიამოვნო საკუთარი გულშემატკივრების მხრიდან კრიტიკის მოსმენა. განსაკუთრებით იმის თაობაზე, რაზეც სიტყვა არ დამიძრავს, - Sun-თან ინტერვიუში თავს იმართლებს ფერდინანდი. - არც კი ვიცი, საიდან მოიტანეს ასეთი რამ ინგლისურმა საინფორმაციო წყაროებმა. ყოველივე სიცრუეა. არ შემიძლია, ამაში გულშემატკივრები დავადანაშაულო. მათ ადგილზე ასეთი რამ რომ გამეგო, ალბათ, მეც ანალოგიური რეაქცია მექნებოდა".

შესაძლო როქი "იუვენტუსსა" და "ინტერს" შორის

ტორინოს "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა მზადაა კლუბის მცველი იგორ ტუდორი მილანის "მილანის" ნახევარმცველ კრისტიანო ძანეტში გაცვალოს. ირკვევა, რომ იტალიის ნაკრების მოთამაშის გადაბირება იუვენტუსის მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთვის კვლავაც უმთავრესი საზრუნავია. მაგრამ ეგაა, მხარეებს შორის შეთანხმება იქამდე უნდა მოხდეს, ვიდრე საზაფხულო სატრანსფერო ფანჯარა არ დაიხურება.

აღსანიშნავია, რომ თავად ძანეტისაც ძალზე სურს კაპელოსთან დაბრუნება, რომლის ხელმძღვანელობითაც ადრე "რომაში" თამაშობდა.

ისე, არაა გამორიცხული, რომ "იუვენტუსსა" და "ინტერს" შორის მოთამაშეთა გაცვლა მართლაც მოხდეს. კერძოდ მილანური კლუბის მწვრთნელს რობერტო მანჩინის მცველის ადგილზე ტუდორის შეძენა სურს, რომელიც ლუიზაოს პორტუგალიის "ბენფიკაში" გადასვლის შემდეგ გათავისუფლდა. ლუიზაო კი, მოგეხსენებათ, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ლენტონის დუბლრეკორდი

ავსტრალიაში, კერძოდ მელბურნში მიმდინარე "პატარა წყლის" (25მ.) მოცურავეთა ეროვნულ პირველობაზე ლიბი ლენტონმა ორი დღის განმავლობაში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ორი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ჯერ იყო და ორი დღის წინათ შვედი ტერეზა ალსხამარის მიერ 2000 წლის 17 მარტს დამყარებული რეკორდი (52,17) დაამხო - 52,91, ხოლო გუშინ, როდესაც ფინალური გაცურვები შედგა, თავისვე მიღწევა 21 მეასედი წამით გააუმჯობესა.

პრესრელიზი
10 აგვისტო, 2005

ნავთობი შემოდის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საქართველოს მონაკვეთზე

BP-ს, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის ოპერატორს, აქვს პატივი, გამოაცხადოს, რომ ნავთობის პირველმა ნაკადმა გადმოლახა აზერბაიჯანის საზღვარი და შემოვიდა საქართველოში. ნავთობი მიიღეს საქაჩ სადგურ 1-ში, გარდაბნის მახლობლად, მილსადენის საზეიმო გახსნის ცერემონიის შემდეგ, რომელიც ბაქოში გაიმართა ამა წლის მაისში.

საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ ბატონმა რიფ დიგინგსმა, BP საქართველოს გენერალურმა მენეჯერმა, განაცხადა: "ეს გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი დღე საქართველოსათვის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ინვესტორებისა და BP-ისათვის, რომელიც მილსადენების მშენებელი და ოპერატორია. ეს არის ის დღე, როცა ჩვენ ვხედავთ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მილსადენის პროექტის დასრულების პირველ ხელშესახებ შედეგებს საქართველოში. ეს ასევე ადასტურებს იმას, თუ როგორი არაჩვეულებრივი შედეგების მოტანა შეუძლია მთავრობასა და კერძო ინვესტორებს შორის კარგ თანამშრომლობას."

მილსადენის მარშრუტის სიგრძე ბაქოს მახლობლად მდებარე სარგაჩალის ტერმინალიდან საქართველოს გავლით ჯეიჰანის ახლადაშენებულ საზღვაო ტერმინალამდე, რომელიც მდებარეობს თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა სანაპიროზე, შეადგენს 1770 კილომეტრს. მისი ეტაპობრივი შევსება წარმოადგენს თანამიმდევრულ პროცესს, რომელსაც სჭირდება რამოდენიმე თვე და 10 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობი. ნავთობი მოდის კასპიის ზღვის აზერბაიჯანის მონაკვეთზე მდებარე აზერი-ჩირაგ-გუნაშლის (ACG) საბადოდან და ჯეიჰანში პირველი ტანკერის ჩატვირთვა მოსალოდნელია 2005 წლის მე-4 კვარტალში.

პირველი ნავთობის შემოსვლის ოფიციალური აღნიშვნის ცერემონია, რომელის მასპინძლებიც იქნებიან საქართველოს მთავრობა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია და რომელსაც დაესწრებიან მოწვეული სტუმრები როგორც საქართველოდან ასევე სხვა ქვეყნებიდან, გაიმართება 2005 წლის 12 ოქტომბერს თბილისში.

BTC Co-ს აქციონერები არიან: BP (30.1 %); AzBTC (25.00 %); Unocal (8.90%); Statoil (8.71%); TRAO (6.53 %); Eni (5.00%), Itochu (3.40%); INPEX (2.50 %), ConocoPhilips (2.50%) და Amerada Hess (2.36 %).

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ბი-პი-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს: +995 32 593 400

საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი და მსოფლიო ბანკის სასამართლო რეფორმის პროექტის განმახორციელებელი რგოლი

საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ესაჭიროება ინჟინერ-მშენებელი, რათა ზედამხედველობა გაუწიოს აჭარის უმაღლესი სასამართლოს შენობის (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N6), სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლებიც უნდა იქნან შესრულებულნი ტენდერში გამარჯვებული საინჟინრო - სამშენებლო კომპანიის მიერ. კონტრაქტის სავარაუდო პერიოდია 4-6 თვე.

ინჟინერ - მშენებელი თავის სამუშაო დროს გაატარებს ობიექტზე. მისი მოვალეობები მოიცავს ძირითადად სამუშაოების ზედამხედველობას და კონტროლს.

კანდიდატი უნდა იყოს უფროსი ინჟინერ-მშენებელი, რომელსაც აქვს არანაკლებ 10 წლის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. მას უნდა ჰქონდეს სამშენებლო პროექტების მართვის გამოცდილება. უპირატესობა ეძლევა საზედამხედველო სამუშაოების გამოცდილების მქონე ინჟინერ-მშენებელს.

განცხადება უნდა მოიცავდეს სრულ რეზიუმეს და რეკომენდაციის გამცემი იმ პირების სახელებს და საკონტაქტო მისამართებს, რომელთათვისაც კარგად არის ცნობილი კანდიდატის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. განცხადებები მიიღება არაუგვიანესს 2 კვირის განმავლობაში განცხადების გამოცემის თარიღიდან. პრეტენდენტების შერჩევა მოხდება გასაუბრების გზით.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მოგვმართოთ:
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა. 5 სართული ოთახი N501
ტელეფონი/ფაქსი. 95-08-65, 95-52-68
პროექტის განმახორციელებელი რგოლის შესყიდვების სპეციალისტი ლიკა დოლიძე.

Summertime
ოდა სიზარმაცეს

თამარ ბაბუაძე

არა, ზაფხულის თბილისი ზაფხულის პარიზს ჯერ არ დამსგავსებია, მაგრამ პარიზელი ქალბატონი ლოლიტა ლემპიკა თავისას მაინც ეცდება - იისფერისა და მწვანის მიქსით, სვაროვსკის ციმციმა თვლებით, ზღაპრებში მეფის ასულებს რომ ფლაკონები ჰქონდათ, ისეთი ფლაკონით და ცხადია, სუნამოთი. ამიტომაც, ნურავის ეწყინება ის, რომ "ისი პარის" მაღაზიათა ქსელის ფრანგული ნაწარმის პრეზენტაციები ყველაზე მეტად ფრანგული სწორედ ლოლიტა ლემპიკას შემთხვევაშია ხოლმე.

თუმცა, ცხადია, მისამართს ყოველთვის აქვს მნიშვნელობა. პარიზში კაროლინას ქუჩა №5-ში გამართული პრეზენტაციები, თბილისურისგან განსხვავებით, ბუნებრივ ფრანგულ კონტექსტში ზის - "ლოლიტა ლემპიკა" თავს შინ გრძნობს, ჰაერში ძვირფასი სუნამოს არომატი ტრიალებს, ყველზე ბრჭყვიალა ყელსაბამი ციმციმებს, პირს მომხიბვლელი ღიმილი არ შორდება, თეთრწინსაფრიანი შავგვრემანი მაროკოელი ოფიციანტი ბიჭი ამაყი მზერით და ძვირფასი ლანგრებით კოქტეილებს დაატარებს. იატაკზე ნამდვილი ხავსი აფენია, აქა-იქ იებით, და ბუნებრივად ჩნდება ასეთი ასოციაცია: დაბურულ მწვანე ეზოში დიდი ხის ტოტზე დაწნული საქანელაა ჩამოკიდებული, საქანელაზე შილიფად ჩაცმული თმაგაშლილი ქალი ზის, ჰაერში ყვავილების სურნელი ტრიალებს...

ეს ფანტაზია, "ლოლიტა ლემპიკას" პარიზულ ბინაში მოხვედრის შემდეგ, ჩემსავით, ყველა უცხოელ ჟურნალისტს სდევს თან. წელს ზაფხულს კი ამ ფანტაზიების ხელახლა გაღვივებაში "ლოლიტა ლემპიკა" თბილისში მყოფებს პარიზიდან გვეხმარება და "ისი პარის" გავლით ორ სიახლეს გვიგზავნის: ალკოჰოლის გარეშე დამზადებული სუნამოს საზაფხულო დამატებას და პარფიუმირებულ სხეულის ზეთს, ასევე საზაფხულოს.

თუმცა, "ლოლიტა ლემპიკა" ამ სუნამოთი არც იწყება და არც მთავრდება. პარიზიდან სხვადასხვა ქვეყნებში დარიგებული საზაფხულო "ამანათი", მთავარი კომპონენტის - სუნამოს გარდა, მრავალი სხვა კომპონენტისგან შედგება, რომელთაც "ლოლიტა ლემპიკას" სახლში თითქმის თანაბარი სიფრთხილით და მონდომებით ამზადებენ. ჟურნალისტებისთვის დაბეჭდილი პრესრელიზიც კი (ეს აბსოლუტურად უტილიტალური დანიშნულების მქონე ორი ფურცელი) ქალური კაპრიზის დასტურია. პრიალა თეთრი ფურცლები მარცხენა კიდეში ორგანაა გახვრეტილი და ღია იისფერი ლენტით შეკრული, ტექსტი კი აკვარელით შესრულებული ნახატებითაა სავსე, ზოგან სვიის გრძელ ფოთლებში გახვეული ქალი წევს, ზოგან ზემოთ ხსენებული მეფის ასულების "ნაქონი" იისფერი ფლაკონები ხატია. და ჟურნალისტის კიდევ ერთი ასოციაცია: ჰგონია, რომ პრეს-რელიზის ნაცვლად ბაროკოს ეპოქის ქალის სასიყვარულო წერილს კითხულობს.

არადა, ეს უბრალოდ, პრესრელიზია, რომელიც ყველა სხვა პრეს-რელიზთან შედარებით, უჩვეულოდ იწყება; ის მაცნობს, რომ № ქალი სიზარმაცეს აღმერთებს. წევს ხასხასა მწვანე ბალახზე, მზისგან ხის ჩრდილი იფარავს, შიგადაშიგ თბილი სიო უბერავს. მზის სხივები კი ფოთლებს შორის მაინც აღწევს და სახეზე სხვადასხვა ორნამენტებს ახატავს. ქალი ისვენებს ემოციურად და ფიზიკურად, ტკბება ბუნებით, იების სურნელით და თვალდახუჭული ფიქრობს - "ო, კარგად ვიცი, რომ ზაფხულის ეს დღე, რომელიც ასეთი ჰარმონიით მავსებს, მუდამ მემახსოვრება. შთაბეჭდილება რომ არ გაფერმკრთალდეს, ჩემს საზაფხულო სურნელს შევქმნი, სხეულს კი მაქსიმალური სიამოვნებისთვის პარფიუმირებულ ზეთს ვაჩუქებ. ამ ორ საზაფხულო განძს ბროლის იისფერ ფლაკონში მოვათავსებ, თავსახურზე კი მთის ბროლის გულს გამოვსახავ, რომელიც მზის შუქზე იციმციმებს და ყველას ყურადღებას მიიპყრობს".

და ქალს ოცნებაც არ აქვს დამთავრებული, რომ ჰოი, საოცრებავ, ხასხასა ბალახში ორი იისფერი ბროლის ფლაკონი ჩნდება. ქალს ელიმება და მათ ასაღებად იწვდის ხელს.

აქ მთავრდება პრესრელიზის პირველი ნაწილი, პირობითი სათაურით "პარიზული ზმანება". დანარჩენს უკვე ნაკლები პათეტიკით და უფრო საქმიანად მოგახსენებთ. ხსენებულ იისფერ ფლაკონებში "ლოლიტა ლემპიკას" საზაფხულო დამატების სუნამო და სხეულის ზეთია მოთავსებული. სუნამოს მთავარი ღირსება ის არის, რომ არ შეიცავს ალკოჰოლს, თანაც პირველი სუნამოსგან განსხვავებით კიდევ უფრო ყვავილოვანია, კიდევ უფრო მეტი იით. ის კი, "ლოლიტა ლემპიკას" მოდის სახლში, უბრალოდ, აღმერთებენ. ამბობენ, რომ ის ფესვებიდან ზედაპირამდე, ქალის კანისთვის ყველაზე სასარგებლო ყვავილია. იაზეა დაფუძნებული პარფიუმირებული სხეულის ზეთიც, რომელიც ზაფხულის სიცხით გამომშრალ კანს არომატიზებულ სირბილეს ჰპირდება.

"ლოლიტა ლემპიკას" საზაფხულო ამანათში პატარა საჩუქარი მამაკაცებისთვისაც დევს - ძველი სუნამოს ტრადიციებზე შექმნილი და მის კარგად ნაცნობ ფლაკონში მოთავსებული გამაგრილებელი სპრეი სხეულისთვის - შესანიშნავი საშუალება ზაფხულის დილის დასაწყებად.

მას კი, ვისაც სურს, "ლოლიტა ლემპიკას" სამფლობელო ბოლომდე დაათვალიეროს და ჩემსავით არ აქვს იისფერი ლენტით შეკრული პრესრელიზი, ინტერნეტს ვთავაზობ: http://www.parfumslolitalempicka.com/ - აქ მწვანე სვიასა და სვიის ფოთლებში ათამაშებულ მზის სხივებზე № ქალბატონსაც ნახავთ "ლოლიტა ლემპიკას" ზმანებიდან.

ქობულეთში "ეკოპლაჟი" გაიხსნა

სუფთა გარემო, ზღვის სანაპიროზე კომფორტული საშხაპეები, გასახდელები, პლაჟის ბილიკები, შეზლონგები და ქოლგები... - ეს ის მწირი ჩამონათვალია, რაც აუცილებელია ზღვისპირეთში დასვენებისთვის. თუმცა ამიერიდან, ქობულეთში მიმავალთ აღნიშნული პრობლემები თავს აღარ მოაბეზრებთ, თუ რა თქმა უნდა, დასვენებას ფიჭვნარის სანაპიროზე გადაწყვეტნენ.

ქობულეთში, თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი "ეკოპლიაჟის" პრეზენტაცია სწორედ, რომ ფიჭვნარის სანაპიროზე მოეწყო. ახალი პლაჟი დამსვენებლებს მაღალი დონის მომსახურების პარალელურად გაცილებით სუფთა სანაპიროს სთავაზობს, ამასთან მაქსიმალურად იქნება დაცული სანაპიროს გარემოც.

ქობულეთში "ეკო-პლაჟის" გახსნას საქართველოს პრემიერ- მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები მინისტრ გიორგი პაპუაშვილი და მთავრობის, ადგილობრივი თვითმართველობისა და პროექტის რეალიზაციაში ჩართული ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი) სხვადასხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

აღნიშნული პროექტის რეალიზაცია "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეგიდით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოხერხდა. პროექტი სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრმა განახორციელა.

პრემიერ-მინისტრმა პროექტის ავტორებს მაღალი შეფასება მისცა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრმა ეკოპლაჟისთვის შეიძინა და ქობულეთის გამგეობას მაღალი ხარისხის ინვენტარი გადასცა, რომელიც გემგეობის მიერ პლაჟის სათანადო ტერიტორიასთან ერთად ზაფხულის სეზონისთვის იჯარით გადაეცა კონკურსში გამარჯვებულ კერძო კონცესიონერს.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ახალი პლაჟით, რომლის პრეზენტაციასაც ვაჟიშვილთან ერთად დაესწრო, მოხიბლული დარჩა, მან ეკოპლიაჟის მონაკვეთის კომფორტულ გარემოზე ისაუბრა და მიანიშნა, რომ მსგავსი პლაჟები არა მხოლოდ ქობულეთში, არამედ ბათუმშიც სასურველია გაიხსნას.

- ასეთი პლაჟები მთელ სანაპიროზე უნდა გაკეთდეს, არა მხოლოდ ქობელეთში, არამედ ბათუმში, კომფორტი აუცილებელია დამსვენებლებისთვის, მით უმეტეს, როცა სანაპიროს მოვლაზე ვიღაც ზრუნავს, უვლის. სანაპიროზე გამორწდა სანაგვე ურნებიც, რომელსაც ადრე ვერც შეამჩნევდით და მნიშვნელოვნად ბინძურდებოდა გარემო, რაც უსიამოვნო შეგრძნებას იწვევდა, გარდა ამისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა დამსვენებელი სიამოვნებას სუფთა ჰაერზე, ფიჭვნარის სანაპიროზე იღებს, - აღნიშნა ნოღაიდელმა.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს როი საუსვორდს კი მიაჩნია, რომ ქობულეთის პლაჟის ეს მონაკვეთი სამაგალითო იქნება და მსგავს პროექტებს მსოფლიო ბანკი მომავალშიც დააფინანსებს.

- ეს ტერიტორია სანაპირო ზოლის პირველი მონაკვეთია, სადაც შესაძლებლობა ეძლევა ადამიანს ნორმალურად დაისვენოს, აქ შექმნილია ყველა პირობა, რათა პლაჟი არ დაბინძურდეს და ბანაობის შემდეგ ელემენტალურად თავი მოიწესრიგო. დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი ვარ, - ამბობს ბატონი როი.

სუფთა გარემოზე აქცენტს აკეთებდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი პაპუაშვილიც და ეკოპლიაჟის მნიშვნელობაზეც მიანიშნებდა.

სანაპიროს ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრის დირექტორის მამუკა გვილავას განცხადებით, ეს არის სადემონსტრაციო პროექტი, რომელიც სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში განხორციელდა. ანალოგიური პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს დამსვენებლების მოზიდვას და რაც უმთავრესია, ეკოლოგიური საფრთხე არ დაემუქრება გარემოს.

თავად დამსვენებლები, რომლებიც სანაპირო ზონის ამ მონაკვეთზე ისვენებენ, ახალი პლაჟის პირობებით კმაყოფილები არიან, მათივე თქმით, კი უდიდეს კმაყოფილებას იქ შექმნილი კომფორტი ანიჭებთ და არ მალავენ, რომ მათ წელს ძალიან გაუმართლათ

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით **საჩხერის რაიონის სოფ. ჭალოვანის საშ. სკოლის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ ჭალოვანის სათემო კავშირთან "ჭალოვანი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "ჭალოვანი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, საჩხერის რაიონი,
სოფელი ჭალოვანი, სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი რუსუდან მაჭარაშვილი, სათემო კავშირი "ჭალოვანი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის **9 აგვისტოდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 400** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, საჩხერის რაიონი,
სოფელი ჭალოვანი, სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი რუსუდან მაჭარაშვილი, სათემო კავშირი "ჭალოვანი"-ს თავმჯდომარე
2005 წლის 9 სექტემბერი 17 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **17:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით **ცაგერის რაიონის სოფელ უსახელო-ხოჯის გზის რეაბილიტაცია,**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ უსახელოს სათემო კავშირთან "უსახელო", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"უსახელო"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ცაგერის რაიონი,
სოფელი უსახელო, საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურმან თოთაძე, სათემო კავშირი "უსახელო"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 10 აგვისტოდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 250** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ცაგერის რაიონი,
სოფელი უსახელო, საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურმან თოთაძე, სათემო კავშირი "უსახელო"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 10 სექტემბერი 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

განცხადება

ს.ს.ი.პ საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს სატელევიზიო მექანიკის თარგმნა-გახმოვანებაზე ღია ტენდერს

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

სატენდერო პირობები:

ლოტი 1 მხატვრული ფილმები - 220 საათი 2-4 ხმაში
ლოტი 2 დოკუმენტური ფილმები - 264 საათი 1-2 ხმაში
ლოტი 3 მხატვრული სერიალები - 374 საათი 4 ხმაში
ლოტი 4 ანიმაციური ფილმები - 176 საათი 2-4 ხმაში

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2005წ. 31 აგვისტოს 11 საათიდან 5 სექტემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

საკავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ცნობას საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვისმათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ფიზიკური პირებისათვის:

ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2005წ. 9 სექტემბრის 11 საათიდან 14 სექტემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-23-64

TV5-ის პროგრამები

10 აგვისტო.

06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00 (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), 04.00 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.00 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 07.00 ელ აბრაზო.ცხოვრება ტანგოა. დოკ. ფილმი 08.30 ტელედილა. 10.55 ჩუ... შეხედე სპეკტაკლი. 11.05 საოჯახო ფოტო-ალბომი. 14.05 გადაცემა: დღესასწაული. ბეატრის დალთან ერთად. 15.30 მსოფლიოს ულამაზესი ტბები. ტადუსი. 16.30 დიდი ლუდის ბარი. მხ. ფილმი. 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 20.25 ანტარქტიდა. დოკ. ფილმი. 24.00 მსოფლიოს მუსიკის ფესტივალი. მარსელი.. 05.25სიყვარულის ისტორია. ტელესერიალი.

11 აგვისტო.

06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 15.00(ბელგია) 16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.15 (შვეიცარია), 02.45(აფრიკა), 04.00 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.00 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 07.00სანტა ბარბარასთვის უცხო. დოკ. Fილმი. 08.30 ტელედილა. 10.25 ტელეტურიზმი. 10.25 ჩუ... შეხედე. სპეკტაკლი. 11.05 საოჯახო ფოტო-ალბომი. 12.15 ფრანკ რივა. ტელესერიალი. 15.30 მსოფლიოს ულამაზესი ტბები. სომი. 16.25 ბუნკერი. ცირკი. ტელესერიალი. 17.40 გადაცემა: **C'EST LA VIE** 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 20.25 ხარატის სიმღერა. მხ. ფილმი. 22.00 აკუსტიკა 03.15 ლიტერატურული გადაცემა. სარტრი. 04.20 პოლტაში. მხ. ფილმი. ღეჟისორი პიერ მაიარი. 2001.



სახელმწიფო მდივანი კარგი მწერალი აღმოჩნდა

აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი ბესტსელერი მემუარების ავტორიც გახლავთ. ახლახან მან გამომცემლობა "ჰარპერ ქოლინსთან" კიდევ ერთი კონტრაქტი გააფორმა და გამომცემლობას ორი წიგნის დაწერას შეჰპირდა.

მათგან პირველი The Mighty and the Almighty ("ძლიერი და უძლიერესი") 2006 წლის გაზაფხულზე დაიბეჭდება და მისი მთავარი თემა რელიგია და საერთაშორისო პოლიტიკაში რელიგიის როლის განხილვა იქნება.

ამ საკითხით დაინტერესება, ბუნებრივია, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხემ გამოიწვია. "ჰარფერ ქოლინსის" ვიცე-პრეზიდენტი ჯონათან ბარნჰემი ფიქრობს, რომ "ოლბრაიტის მოსაზრებები რელიგიური ექსტრემიზმის ეპოქაში შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ ყველამ უნდა წაიკითხოს. წიგნში მსჯელობა პირდაპირი, გულწრფელი და ნათლად არგუმენტირებულია. აშკარაა, რომ ტექსტის ავტორი კარგად ინფორმირებული და ბევრისმნახველი ქალბატონია".

ვისაც მადლენ ოლბრაიტის ბესტსელერი მემუარი "მადამ მდივანი" (Madam Secretary) წაუკითხავს, ბარნჰემის აზრს ახლაც უყოყმანოდ გაიზიარებს, რადგან სწორედ ჯონათან ბარნჰემი რედაქტორობდა ხსენებულ მემუარს. იმ პერიოდში ის "მირამაქს ბუქსის" პრეზიდენტი და მთავარი რედაქტორი გახლდათ.

გამომცემლობა "ჰარფერ ქოლინსი" ოლბრაიტის მეორე, ჯერ უსათაურო წიგნსაც აანონსებს, ის პირველი ორისგან განსხვავებით უფრო მსუბუქი და უხვად ილუსტრირებული იქნება. ექსსახელმწიფო მდივანი მკითხველს დეკორატიული სარჭების საკუთარ კოლექციას გააცნობს და მათ ისტორიულ თუ პირად მნიშვნელობაზე მოუთხრობს.

შეგახსენებთ, რომ მადლენ ოლბრაიტი ამერიკის სახელმწიფო მდივანი 1997-2001 წლებში იყო.

ბუდები ლაზერით



ვიზუალური არტისტი ჰირო იამაგატა ერთი ამბიციური პროექტის განხორციელებას აპირებს. მას სურს, ლაზერული იმიჯების საშუალებით აღადგინოს 2001 წელს ავღანეთში თალიბანის ჯარების მიერ აფეთქებული ბუდის ანტიკური ქანდაკებები.

პროექტი ბუდების ისტორიულ ადგილზე განხორციელდება - ბამიიანის ხეობაში. 14 ლაზერის სისტემა 140-მდე "ქანდაკებას" წარმოშობს, ფერები ზღაპრული იქნება - ნეონის მწვანე, ვარდისფერი, ნარინჯისფერი, თეთრი და ლურჯი. თითოეული ბუდა დროდადრო ფერსაც შეიცვლის და ფორმასაც. მათი სიმაღლე 175 ფუტი იქნება - ორიგინალი ბუდების მსგავსად. მათი დანახვა კი 4 მილიდან შეეძლება ცნობისმოყვარე პუბლიკას. თითოეული სხივის სიგრძე კი 6-8 მილი იქნება, ანუ ლაზერი მთელ ხეობას გაანათებს. ამას ცხადია, უამრავი ელექტროენერგია დასჭირდება. 46 4-ათას კილოვატიანი სადგური მთლიანად პროექტს მოემსახურება, ასი სხვა კი - ახლომახლო სოფლებს მოამარაგებს ელექტროენერგიით.

მოკლედ, იამაგატას ფანტაზიას ელექტროენერგიისა და ფინანსების კრიზისი ვერ შეზღუდავს. პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხას 7-9 მილიონ დოლარს სპონსორები გაიღებენ. ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი ლაზერის ბუდებს "მერსედეს-ბენცი" ეყოლებათ. წინასწარი ჩანაფიქრის მიხედვით, ბუდები ავღანურ თიხის ხეობას კვირა ღამით გაანათებენ ხოლმე, მათი ნათება 4 საათს გასტანს. პროექტის მთლიანად დასრულება 2007 წლის ივნისისთვისაა დაგეგმილი.



ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა საკონკურსო ტესტის ნიმუში

ტესტის ვარიანტი - ნიმუში რეგისტრაციის ნომერი ----------

1. ვრცელდება თუ არა კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მათი შინაარსის გათვალისწინებით იურიდიულ პირებზე?
ა) დიახ, რადგან ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე;
ბ) დიახ, რადგან ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე;
გ) არა, რადგან ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი ვრცელდება მხოლოდ ადამიანებზე;
დ) არა, რადგან ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე.

2. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, რა სახის სასამართლოს შექმნა არის დაუშვებელი?
ა) საერთო სასამართლოების;
ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს;
გ) სამხედრო სასამართლოს;
დ) სპეციალური სასამართლოების.

3. რა წესით ხდება საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცება?
ა) საქართველოს კანონით;
ბ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით;
დ) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით, პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის დებულებას ამტკიცებს:
ა) საქართველოს პრეზიდენტი ქ. თბილისის მერის წარდგინებით;
ბ) საქართველოს პრეზიდენტი ქ. თბილისის საკრებულოს წარდგინებით;
გ) ქ. თბილისის მერი ქ. თბილისის პრემიერის წარდგინებით;
დ) ქ. თბილისის საკრებულო ქ. თბილისის მერის წარდგინებით.

5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელი არ განეკუთვნება ქ. თბილისის მთავრობის განსაკუთრებულ გამგებლობას?
ა) ქ. თბილისში ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის ორგანიზაცია;
ბ) ქ. თბილისის ადგილობრივი რეზერვებით საქართველოს სამხედრო ძალებისათვის სამობილიზაციო სამუშაოთა განხორციელება;
გ) ქ. თბილისში საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობის წესების დადგენა;
დ) ქ. თბილისში ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლი.

6. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. თბილისის რაიონის გამგეობა შედგება:
ა) გამგებლისა და მისი მოადგილეებისაგან;
ბ) გამგებლისა და გამგეობის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისაგან;
გ) გამგებლის, მისი მოადგილეებისა და ცალკეული საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისაგან;
დ) გამგებლის, მისი მოადგილეებისა და ცალკეული რაიონული სამსახურის ხელმძღვანელებისაგან.

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, რა შემთხვევაში შეიძლება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი?
ა) თუ მას აქვს კანონიერი ნდობის უფლება;
ბ) თუ მას გაცხადებული აქვს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ;
გ) თუ იგი სარგებლობს აღმასრულებელი პრივილეგიით;
დ) თანამდებობის პირს, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში.

8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია:
ა) წერილობითი განცხადების მიღებიდან 3 დღეში;
ბ) მომართვიდან 5 დღეში;
გ) მომართვიდან 10 დღეში;
დ) დაუყოვნებლივ.

9. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურში მიღებისას რომელი დოკუმენტის წარდგენა არ არის სავალდებულო?
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის;
ბ) უკვე გაცემული შრომის წიგნაკის;
გ) სამედიცინო – ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის;
დ) ჟორწინების მოწმობის.

10. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებას, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, არ წარმოადგენს:
ა) საკრებულო;
ბ) მერია;
გ) გამგეობა;
დ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანო.

11. ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს მუდმივი კომისია შედგება:
ა) არანაკლებ 3 წევრისაგან;
ბ) 5 წევრისაგან;
გ) არანაკლებ 5 წევრისაგან;
დ) არანაკლებ 7 წევრისაგან.

12. ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება:
ა) საკითხის წარმომდგენი ორგანოს მიერ დანიშნული პირის მოხსენებით;
ბ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს მდივნის მოხსენებით;
გ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრის ჩატარებით;
დ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავჯდომარის მიერ დასაბუთებული მოსაზრების გამოთქმით.

13. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი მიღებულ კანონპროექტს:
ა) 5 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს;
ბ) 7 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს;
გ) 10 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს;
დ) 14 დღის ვადაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს.

14. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის:
ა) მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი;
ბ) მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი;
გ) მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი;
დ) მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

15. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ:
ა) გადასახადების ადმინისტრირების მიზნით მოიწვიონ სპეციალისტები ან ექსპერტები;
ბ) აწარმოონ წინასწარი გამოძიება საგადასახადო დანაშაულის საქმეებზე;
გ) სასამართლოში წარადგინონ სარჩელი საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე;
დ) განახორციელონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.

16. სხვა ქალაქში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით 2005 წლის მარტში ფიზიკურმა პირმა გაყიდა აგარაკი 16 000 ლარად და ავტომანქანა 2500 ლარად. ფიზიკური პირის შემოსავალმა გამოქვითვის გათვალისწინებით 4 000 ლარი შეადგინა.
განსაზღვრეთ ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის თანხა 2005 წლისათვის, თუ ცნობილია, რომ აგარაკი მან 1999 წლის იანვარში 10 000 ლარად, ხოლო ავტომანქანა 2001 წლის დეკემბერში 3 000 ლარად შეიძინა.
ა) ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის თანხა 2005 წლისათვის შეადგენს 1200 ლარს [(4 000 + 6 000) X 12%];
ბ) ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის თანხა 2005 წლისათვის შეადგენს 800 ლარს (4 000 X 20%);
გ) ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის თანხა 2005 წლისათვის შეადგენს 2700 ლარს [(4 000 + 6 000 + 2500) X 12%];
დ) ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის თანხა 2005 წლისათვის შეადგენს 480 ლარს (4 000 X 12%).

17. ქ. თბილისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ს.ს. „თბილგაზისთვის“ და შპს „თბილტრანსისთვის“ ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე ინდივიდუალური სახის შეღავათების დაწესების შესახებ. კანონმდებლობით დასაშვებია თუ არა ასეთი შეღავათების დაწესება?
ა)დასაშვებია, რადგან ეს არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საგადასახადო შეღავათს;
ბ) დასაშვებია საკრებულოს 3/4-ის თანხმობის შემთხვევაში;
გ) დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;
დ) დაუშვებელია, რადგან ეს აკრძალულია კანონით.

18. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელი არ არის შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილება?
ა) მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმება;
ბ) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის დისკვალიფიკაცია;
გ) მიმწოდებელი ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის კონტროლი ან/და შემოწმება;
დ) კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

19. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული ღია ან დახურული ტენდერის ჩასატარებლად შექმნილი სატენდერო კომისია შედგება:
ა) არანაკლებ 3 წევრისაგან;
ბ) არანაკლებ 7 წევრისაგან;
გ) ნებისმიერი ოდენობის, კენტი რაოდენობის წევრებისაგან;
დ) არანაკლებ 5 წევრისაგან.

20. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი არ არის:
ა) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება;
ბ) საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა;
გ) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შექმნა;
დ) საერთაშორისო საგალუტო ფონდის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო კომიტეტის რეკომენდაციების შესრულება.

21. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებია:
ა) შემოსავლები, გრანტები და სესხები;
ბ) მხოლოდ საგადასახადო შემოსავლები და მოსაკრებლები;
გ) შემოსავლები და სესხები;
დ) გადასახადები, სესხები და კაპიტალური შემოსავლები.

22. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას წარმოადგენს:
ა) სამედიცინო დახმარება, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება;
ბ) ნებისმიერი სამედიცინო დახმარება, განხორციელებული მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მთავარი ექიმის (მისი არყოფნისას, მოადგილის) თანხმობით;
გ) ნებისმიერი სამედიცინო დახმარება პაციენტის ან მისი ოჯახის წევრის მოთხოვნით;
დ) სამედიცინო დახმარება, განხორციელებული შესაბამისი შეტობინების მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათში, სამედიცინო დაწესებულების მთავარი ექიმის თანხმობით, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება.

23. „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკისა და დასაქმების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით პროფკავშირების, მეწარმეთა გაერთიანებებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან იქმნება:
ა) დასაქმების ეროვნული საბჭო;
ბ) დარბაზი;
გ) უშიშროების საბჭო;
დ) საკოორდინაციო საბჭო.

24. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან:
ა) მოითხოვოს მისი აღმსარებლობის მქონე ექიმის მოწვევა;
ბ) მოითხოვოს მისი აღმსარებლობის პატივისცემა;
გ) მოითხოვოს მისი აღმსარებლობის მიღება;
დ) მიღებული წერილობითი მოთხოვნით შეიცვალოს საკუთარი აღმსარებლობა.

25. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელი არ არის დედობილ-მამობილად ყოფნის შეზღუდვის საფუძველი:
ა) სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობა;
ბ) სასამართლოს მიერ პირისათვის მშვილებლის უფლების ჩამორთმევა;
გ) სასამართლოს მიერ პირისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა;
დ) აღსაზრდელად ბავშვების ყოლა.

26. როდესაც არქიტექტურული პროექტის ავტორი დამკვეთს უფლებას არ აძლევს პროექტში დასაბუთებული და აუცილებლობით განპირობებულ ცვლილებების შეტანაზე, რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს დამკვეთმა?
ა) მიმართოს არქიტექტურული პროექტის შემთანხმებელ სამსახურს და მოსთხოვოს მას ცვლილებების შეტანა პროექტში;
ბ) მიმართოს სასამართლოს და სასამართლო წესით მოიპოვოს ეს უფლება;
გ) შეარეროს მშენებლობა, შეიმუშავოს და სათანადო წესით შეათანხმოს ახალი პროექტი;
დ) მოსთხოვოს მერიას საკითხის შემსწავლელი სპეციალური კომისიის შექმნა და კომისიის დასკვნის საფუძველზე გააგრძელოს საქმიანობა.

27. თბილისის მერიამ ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება, რითაც სარკინიზო ტრანსპორტის მოძრაობისათვის გაყვანილი უნდა იქნეს მიწისქვეშა გვირაბი და მთლიანად თბილისის ტერიტორიაზე ეს ტრანსპორტი იმოძრავებს მიწისქვეშა გვირაბით. გვირაბის მშენებლობა დაუკვეთეს ტენდერზე გამარჯვებულ კომპანიას. ამ შემთხვევაში, რომელი უწყება გასცემს გვირაბის, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის ნებართვას?
ა) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რადგანაც საქმე ეხება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობას;
ბ) საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყება;
გ) თბილისის მერია, რადგანაც თბილისის ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობაზე მშენებლობის ნებართვებს გასცემს თბილისის მერია;
დ) თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახური, როგორც თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გამცემი სამსახური.

28. სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:
ა) მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი;
ბ) მხოლოდ საქართველოს პარლამენტი;
გ) მხოლოდ საქართველოს მთავრობა;
დ) შესაბამისი რაიონის, ქალაქის რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები.

29. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში პირდაპირი წესით განკარგვის დროს რომელი ორგანოა უფლებამოსილი დაამტკიცოს მიწის ნორმატიული ფასი?
ა) საქართველოს პრეზიდენტი;
ბ) საქართველოს მთავრობა;
გ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო);
დ) რაიონის (ქალაქის) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო.

30. საწარმოს (საზოგადოების) სახელით მინდობილობა შეიძლება მიეცეს:
ა) მხოლოდ ერთ პირს;
ბ) მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ პირებს;
გ) მხოლოდ საზოგადოების პარტნიორს;
დ) ერთ ან რამდენიმე პირს.

31. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროკურისტს მიწის ნაკვეთის გასხვისების უფლება აქვს, თუ:
ა) ამის შესახებ თანხმობას განაცხადებენ საზოგადოების პარტნიორები;
ბ) ეს უფლებამოსილება პროკურისტს სპეციალურად მიეცემა;
გ) არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობა გასხვისების თაობაზე;
დ) პროკურისტი და დირექტორი ერთი და იგივე პირია.

32. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში როგორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შეიძლება არსებობდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა?
ა) მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით;
ბ) მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით;
გ) მხოლოდ კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით;
დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის, კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით.

33. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აქვს თუ არა სკოლას უფლება, მოსთხოვოს მოსწავლეს და მასწავლებელს, გაიარონ სამედიცინო შემოწმება?
ა) ასეთი მოთხოვნის უფლება აქვთ მხოლოდ კერძო სკოლებს;
ბ) ასეთი მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ნარკოტიკზე;
გ) სკოლას უფლება აქვს მოსთხოვოს მოსწავლეს და მასწავლებელს, გაიარონ სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე;
დ) ასეთი მოთხოვნა საერთოდ დაუშვებელია.

34. „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, “კულტურის მუშაკი” არის:
ა) კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირი;
ბ) ფიზიკური პირი, რომელიც კულტურის სფეროში საქმიანობს;
გ) ფიზიკური პირი, რომელიც კულტურულ ფასეულობებს ქმნის, აღადგენს ან ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
დ) შემოქმედებითი მოღვაწეობის ობიექტივირებული შედეგი.

35. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რამდენი ადმინისტრაციული ერთეული (ქალაქი, რაიონი) შეიძლება მოიცვას ადგილობრივმა საქალაქო სამგზავრო გადაყვანამ?
ა) ერთი;
ბ) ორი;
გ) რამოდენიმე;
დ) ორი, ტერიტორიულად ერთმანეთის ახლო ადმინისტრაციული ერთეულები.

36. „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვინ არის უფლებამოსილი შეაჩეროს მოქალაქის სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ უკვე მიღებული გადაწყვეტილება?
ა) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი;
ბ) საქართველოს სახალხო დამცველი;
გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრი;
დ) საქართველოს პრეზიდენტი.

37. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უმაღლესი განათლების არმქონე პირისათვის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადაა:
ა) 12 თვე;
ბ) 18 თვე;
გ) 24 თვე;
დ) 36 თვე.

38. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გადაწყვეტილება მოქალაქის სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს, მხოლოდ მის მიერ:
ა) 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ;
ბ) 17 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ;
გ) 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ;
დ) 20 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ.

39. ფონდის წესდებით ქონება განისაზღვრა ერთი მილიონი ლარით, თუმცა რეგისტრაციამდე შეტანილ იქნა მხოლოდ 800 000 ლარი, მაგრამ რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში დარჩენილი 200 000 ლარი არ იქნა შეტანილი ანგარიშზე. რა ხდება ამ შემთხვევაში?
ა) ფონდს ეძლევა დამატებითი 1 თვიანი ვადა ანგარიშის შესავსებად;
ბ) ფონდს ეძლევა დამატებითი 3 თვიანი ვადა ანგარიშის შესავსებად;
გ) ფონდს ეძლევა დამატებითი 6 თვიანი ვადა ანგარიშის შესავსებად;
დ) რეგისტრაცია კარგავს ძალას.

40. „ა“-მ მეზობელი მიწის ნაკვეთიდან გადმოსული ვაშლის ტოტებიდან ჩამოკრიფა 150 კგ ხის ნაყოფი. მეზობელმა მოითხოვა მოკრეფილი ხილის მისთვის გადაცემა, რაზედაც „ა“-მ უარი განუცხადა.
სწორია თუ არა „ა“-ს მოქმედება?
ა) დიახ, რადგან მეზობელი ნაკვეთიდან გადმოსული ხის ტოტებიდან ჩამოკრეფილი ნაყოფი „ა“-ს საკუთრებად ჩაითვლება;
ბ) დიახ, რადგან ასეთ შემთხვევაში ხის ნაყოფს ვინც დაეუფლება, იმის საკუთრებად ჩაითვლება;
გ) არა, რადგან ასეთ შემთხვევაში ხის ან ბუჩქის ნაყოფი მათი მფლობელის საკუთრებაა;
დ) არა, რადგან ხის ან ბუჩქის ნაყოფი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მეზობელი ნაკვეთის ნაყოფად, როცა ის იქ, იმ ნაკვეთში დავარდება.

41. რამდენი ფანჯარა შეიძლება იყოს ერთდროულად გახსნილი ე რანზე?
ა) 16;
ბ) 256;
გ) მომხმარებლის მიერ მართვის პანელში მითითებული რაოდენობის;
დ) არ არის ონ რეტული რიცხვით შემოსაზღვრული.

42. რომელი მოწყობილობა წარმოადგენს ომპიუტერის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს?
ა) როტორი;
ბ) მოტორი;
გ) მონიტორი;
დ) სტატორი.

43. რისთვის გამოიყენება ლავიატურის " Enter" ლავიში?
ა) ომპიუტერში შესასვლელად;
ბ) პიქტოგრამის (Icon) გასააქტიურებლად;
გ) ფანჯარაში მოთავსებული ობიექტების დასათვალიერებლად;
დ) მომხმარებლის განაზრახვის დასადასტურებლად.

44. რომელი ბრძანებით გაიხსნება დის ზე არსებული დო უმენტი Word-ში?
ა) Edit / Go To… (Правка/Перейти…);
ბ) View / Full Screen (Вид/Во весь экран);
გ) File / New… (Файл/ Создать…);
დ) File / Open (Файл/Открыть…).

45. რომელი ბრძანებით შეინახება დო უმენტი დის ზე?
ა) File / Save (Файл/Сохранить);
ბ) Insert / File… (Вставка/Файл…);
გ) Edit / Replace… (Правка/Заменить…);
დ) Insert / Text Box (Вставка/Надпись).

46. რომელი მოქმედებით არ დაიხურება დო უმენტი?
ა) მენიუს ბრძანებით File / Close (Файл/Закрыть);
ბ) ლავიშთა Alt+F4 ომბინაციით;
გ) New ღილაზე;
დ) Close ღილა ზე დან აპუნებით დო უმენტის ფანჯარაზე.

